CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 22 ივნისი, 2009 წელი. №138 (2176) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



ახალი რეფერენდუმი ირლანდიაში
A7

ეროვნული მუსიკალური ცენტრი - ავანსცენაზე
A9

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

რისკები და პერსპექტივები

გეოპოლიტიკური თამაშები სამხრეთ კავკასიაში

ლევან ღირსიაშვილი

სამხრეთ კავკასიაში არსებული რთული ვითარება გარეშე თვალისთვის სულ უფრო და უფრო ჩიხურ მდგომარეობას ემსგავსება. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან, თუ ჩამოვთვლით რეგიონში არსებულ პრობლემებს და ამას რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ინტერესებს დავუმატებთ, ვითარება მართლაც არ არის იმედისმომცემი. უფრო მეტიც, ძალზე რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობა ჩამოყალიბდება სამხრეთ კავკასიაში.

რეგიონში უკვე აშკარად არის გამოკვეთილი რუსეთის, აშშ-ს, თურქეთის, ევროკავშირის და ირანის ინტერესები. რეგიონის ქვეყნებიც შესაბამისად ამ ინტერესების მიხედვითაა გადანაწილებული, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დაპირისპირების საფუძველს წარმოადგენს. არსებული რთული რეალობა კიდევ უფრო მეტად გაურესდა გასული წლის აგვისტოში საქართველოში რუსული აგრესიის შედეგად. მოსკოვმა არა მარტო კავკასიის რეგიონში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაშიც ახალი რეალობა შექმნა და მსოფლიოს თანამეგობრობა მეტად არასასურველი ფაქტის წინაშე დააყენა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს დასავლეთისთვის მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, რადგან რუსული აგრესიული რიტორიკა აშშ-ს მოკავშირე საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს სურვილი აღედგინა საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა და ამით რეგიონში რუსულ მიზნებს შეწინააღმდეგებოდა, ნათლად ასახავდა იმ კატასტროფის მაღალ ალბათობას, რომელიც გასული წლის აგვისტოში საქართველოს დაატყდა თავს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში არასტაბილური გარემო შექმნა.

ამდენად, რეგიონში არსებული მდგომარეობა სწორედ გასული წლის აგვისტოს ომის შედეგად უნდა გაანალიზდეს. გარდა იმისა, რომ საქართველომ ომის შედეგად კატასტროფული შედეგები მიიღო - დღემდე ოკუპირებულია ახალი ტერიტორიები (კოდორის ხეობა, ახალგორის რაიონი, სოფელი პერევი), საფრთხის წინაშე დადგა დასავლური ენერგოპროექტების განხორციელების პერსპექტივაც.

გაგრძელება A2 გვერდზე

ირანი რევოლუციის ზღვარზე

ივა შილაკაძე

ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი 12 ივნისის არჩევნებში მაჰმუდ აჰმადინეჟადის გამარჯვებას უკანონოდ მიიჩნევს და უკან დახევას არ აპირებს. თავის მხრივ, ხელისუფლებაც არაფერს თმობს. ცხადია, მასაც ჰყავს მომხრეები, რომლებიც ასევე გამოდიან ქუჩაში. პოლიციას ნაწილობრივ ამ ორ მხარეს შორისაც უწევს დგომა. ბოლო დღეებში მსხვერპლიც გაიზარდა. დაუზუსტებელი მონაცემებით, მარტო შაბათს პოლიციასთან შეტაკებას 10 ადამიანი შეეწირა (ეს ირანის ტელევიზიის ცნობაა). სხვა წყაროები უფრო მეტ დაღუპულზე საუბრობენ. უფრო მკაცრია დასავლეთის შეფასებებიც.

გაგრძელება A6 გვერდზე

AFP' 2009

ბრიტანეთის პარლამენტის სპიკერი ვადაზე ადრე გადადგა

მარიკა იაშვილი

ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერი მაიკლ მარტინი იძულებული გახდა, გადადგომის შესახებ განცხადება გაეკეთებინა. ამის მიზეზი დეპუტატების მიერ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის გამო მაისის ბოლოს აგორებული სკანდალი გახდა.

მარტინი, რომელიც ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატას ცხრა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ბოლო 300 წლის მანძილზე პირველ სპიკერად იქცა, რომელმაც თანამდებობა ვადაზე ადრე დატოვა.

63 წლის მარტინი, როგორც პალატის უმაღლესი პირი, კრიტიკის ქარცეცხლში პრესის მიერ დაწყებული სკანდალის ჩაცხრობის უუნარობის გამო აღმოჩნდა. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატები გადამხდელთა ფულს ისეთ საქმეებს ახმარდნენ, რომლებსაც მათ პროფესიულ საქმიანობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ამ ფაქტმა საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

მაშინ, როდესაც პარტიის ლიდერები ამომრჩევლებს ბოდიშს უხდიდნენ, მარტინი დიდხანს ამტკიცებდა, რომ დეპუტატებს უფლება აქვთ, არ გაახმაურონ ინფორმაცია თავიანთი ხარჯების შესახებ და ამ მონაცემთა პრესაში მოხვედრის გარემოებების გამოძიებას ითხოვდა.

სპიკერი, სხვა საქმიანობასთან ერთად, პარლამენტში იმ დეპარტამენტსაც ხელმძღვანელობდა, რომელიც დეპუტატების ხარჯებს აკონტროლებს და აქედან გამომდინარე, სკანდალის ზრდასთან ერთად მარტინის მხრიდან პრობლემის მოგვარებაში გამოჩენილი უუნარობა სულ უფრო ნათელი ხდებოდა. შედეგად კი, ქვედა პალატის ხელმძღვანელს ოცმა პარლამენტარმა უნდობლობა გამოუცხადა და თანამდებობის დატოვება აიძულა.

თანამედროვე ბრიტანეთის ისტორიისთვის ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რადგან სპიკერის თანამდებობა მუდმივია და არჩეული დეპუტატი მას მხოლოდ პენსიაზე გასვლისას ტოვებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

CMYK - 1

ღია წერილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბ-ნ ნ. რურუას
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ ნ. გვარამიას
ქ. თბილისის მერს ბ-ნ გ. უგულავას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, რომელიც, ცნობილი არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ხალხის უდიდესი ძალისხმევით აშენდა, სამართლიანად იქცა ქართული უმაღლესი განათლების სიმბოლოდ. ამ შენობაში თავდაპირველად გაიხსნა პირველი ქართული გიმნაზია, ხოლო მოგვიანებით კი - პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოში საუნივერსიტეტო სწავლებასა და მეცნიერებას. განსაკუთრებულია ამ შენობის, როგორც კულტურის ძეგლის როლი გასული საუკუნის ახალი თბილისის არქიტექტურული იერსახის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსს მინიჭებული აქვს კულტურისა და ისტორიის ძეგლის სტატუსი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 3/181 1.X.2007, "საკანონმდებლო მაცნე" N 47), აქედან გამომდინარე, მისი დაცვის პრინციპებსა და მასზე ჩასატარებელი სამუშაოების სამართლებრივ საფუძვლებსა და სანებართვო პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

უკვე რამდენიმე თვეა, ფონდ "ქართუს" დაფინანსებით, უნივერსიტეტში სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს ასოციაცია "ატუ", ხოლო უძრავ ძეგლზე შიდა სარემონტო სამუშაობის სანებართვო მოწმობა 2008 წლის 20 ნოემბერს გაცემულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის კაპიტალური რემონტის პროექტი, კომისიის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს და დასკვნაშიც მიუთითეს რომ: "განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცეს ფასნჯრების ნახატის შენარჩუნებას და მის ხარისხს."

სამუშაოს დაწყების შემდგომ, დამტკიცებული პროექტის საწინააღმდეგოდ, შენობის ყველა ღიობის თავდაპირველი ჩარჩო და ალათები თანამედროვე ტიპის მეტალოპლასტმასის ფანჯრებით შეიცვალა და სრულიად გადაკეთდა ალათების თავდაპირველი ნახატი, რამაც გამოიწვია ფასადის გარეგანი სახის ცვლილება. ეს კი, მოქმედი კანონმდებლობისა თუ საერესტავრაციო-სარეაბილიტაციო ნორმების მიხედვით, ყოვლად დაუშვებელია.

არავის აქვს უფლება, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, ქართული კულტურისა და ისტორიის ასეთი თვალსაჩინო ძეგლის ფასადი შეცვალოს.

მოვითხოვთ, შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქურებმა დაიცვან კანონი, გამოყონ სათანადო კომისია და შეუნარჩუნონ უნივერსიტეტის მთავარ შენობას პირვანდელი იერსახე.

ამასთან ერთად, მადლიერებას გამოვხატავთ ფონდ "ქართუს" მიმართ უნივერსიტეტისადმი გაწეული მზრუნველობის გამო.

მზექალა შანიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი
მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი
ოთარ ჯაფარიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი
ზაზა სხირტლაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
ზურაბ კიკნაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თარხუჯ ჯავახიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
მაია მანია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
ირინე ელიზბარაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
მანანა სურამელაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მარიამ გაჩეჩილაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ელენე თუმანიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
თამარ ბელაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფესორი
ნანა მირცხულავა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ნანა ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
მაია იზორია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ლალი ანდრონიკაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ირინა მირიჯანაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
თამარ ამირეჯიბი, ხელოვნებათმცოდნე
ლალი ახალაია, არქეოლოგი
ზურაბ გაიპარაშვილი, ისტორიკოსი
ქრისტინე დარჩია, ხელოვნებათმცოდნე
ნათია ებანოიძე, ხელოვნებათმცოდნე
ნინო ჭინჭარაული, ხელოვნებათმცოდნე
ლალი ჭურღულია, ხელოვნებათმცოდნე
მარინე ხატიაშვილი, ხელოვნებათმცოდნე

რისკები და პერსპექტივები

პირველი გვერდიდან

თუ ომამდე, საქართველო უცხოური ინვესტიციებისა და ახალი პროექტებისთვის მეტნაკლებად მიმზიდველ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რაშიც ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, დღეს ვითარება სხვაგვარია. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს "ნაბუკოს" ენერგოპროექტის ბუნდოვანი პერსპექტივა. ამას თან ერთვის საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემცირებაც, რაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, რასაკვირველია, გასული წლის აგვისტოს მოვლენების შედეგებით არის მეტწილად განპირობებული.

ამ ფონზე, როგორც მოსალოდნელი იყო, დღის წესრიგში დადგა რეგიონში სომხეთის როლის გაზრდის საკითხი, თუმცა ეს, ცხადია, წარმოუდგენელი იქნება, თუკი, სომხურ-აზერბაიჯანული და სომხურ-თურქული ურთიერთობების მოგვარება არ დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა მთლიანად შეცვალა დასავლური ხედვა რუსეთის შესახებ და პარალელურად გაზარდა დასავლეთისთვის თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა კავკასიის რეგიონში. ზოგიერთი ანალიტიკოსი რეგიონში შექმნილ ვითარებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქნილ რეალობასაც ადარებს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში გამაგრების შემდეგ, სტალინმა ბოსფორის სრუტეზეც მოინდომა კონტროლის დაწესება და რამაც შედეგად 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანება გამოიწვია, რათა საბჭოთა საფრთხე შემცირებულიყო. ფაქტია, რომ დღესაც კავკასიის რეგიონში რუსული გავლენის ზრდის საპირწონედ შესაძლებელია სწორედ თურქული ფაქტორი იქნას ამოქმედებული, რაც რეგიონში სომხური როლის გააქტიურებას გამოიწვევს. დასავლეთისთვის და, პირველ რიგში, აშშ-თვის ეს სავსებით მისაღები უნდა იყოს. თურქულ-სომხური ურთიერთობების მოგვარების დაწყებით და სომხეთის დასავლურ პროექტებში ჩართვის დაინტერესებით ვაშინგტონი შესაძლოა რეგიონში რუსული გავლენის შემცირებას შეეცადოს. ამ სტრატეგიაში კი საკვანძო და მთავარი როლის შესრულება, რასაკვირველია, აშშ-ს მოკავშირე თურქეთს ეკუთვნის.

ამ ვერსიას კიდევ უფრო მეტად ამყარებს, გასული წლის სექტემბრის დასაწყისში, საქართველოში რუსული ოკუპაციის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტის აბდულა გიულის მოულოდნელი ვიზიტი ერევანში, ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. როგორც ჩანს, "საფეხბურთო პოლიტიკა" თურქეთსა და სომხეთს შორის ამით არ დასრულდა და კვლავ გრძელდება. სწორედ ამ პოლიტიკის ლოგიკურ შედეგად უნდა იყოს მიჩნეული წელს, აპრილში, შვეიცარიაში, თურქეთსა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის "საგზაო რუკის" ხელმოწერა, რომელიც ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების გააქტიურებას ითვალისწინებს. ამ შეხვედრას კი ლოგიკურ შედეგად მოჰყვა მაისში, პრაღაში, სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მოლაპარაკებები, რომელიც მედიის ინფორმაციით და ანალიტიკოსთა შეფასებებით, მართალია, ჯერჯერობით უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ეს შეხვედრა თავისთავად უნდა იყოს მიჩნეული "საფეხბურთო პოლიტიკის" შედეგად და წინ გადადგმულ ნაბიჯად.

აღსანიშნავია, რომ ამ ვითარებაში, აზერბაიჯანი ჯერჯერობით ხმამაღალ განცხადებებს არ აკეთებს და მოვლენათა განვითარების დაკვირვების რეჟიმშია. თურქეთისთვის, რომელსაც უკვე თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ რეგიონის ძლიერი მოთამაშე, აზერბაიჯანი, რასაკვირველია, უფრო მეტად მნიშვნელოვანი ქვეყანაა, ვიდრე სომხეთი, რაც აზერბაიჯანული ენერგორესურსებით და ეკონომიკური პოტენციალით არის განპირობებული. ამდენად აზერბაიჯანული რეაქცია თურქეთ-სომხეთის შესაძლო დაახლოებაზე შესაძლოა ერ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გახდეს. იმ დროს, როდესაც რუსეთი ყველა მის ხელთ არსებული რესურსით ცდილობს რეგიონში ძლიერების შენარჩუნებას და "ნაბუკოს" პროექტის ჩაძირვას, აზერბაიჯანის და თურქმენეთის მხარდაჭერას დასავლურ-თურქული ინტერესებისთვის რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. თუმცა, ბაქოს "დამკვირვებლის" რეჟიმში გადასვლა, ცხადია, მნიშვნელოვანწილად ბაქო-მოსკოვის ურთიერთობებზეა დამოკიდებული. ოფიციალური ბაქო, როგორც ჩანს, რუსეთის ნაბიჯებს ელის, რადგან ყარაბაღის მოგვარების გასაღები კვლავ მოსკოვის ხელშია. გარდა ამისა, სომხეთის დასავლეთთან ინტეგრაციის დაწყებას, როგორც არ უნდა იყოს, სომხეთში რუსული სამხედრო ბაზის არსებობა აუცილებლად შეუქმნის ბარიერს.

ამასთანავე გასათვალისწინებელია საქართველოში შექმნილი არასტაბილური ვითარება და ხელახალი რუსული აგრესიის მაღალი ალბათობა. მოსკოვისათვის, რომელიც ყოველ ღონეს იხმარს რეგიონში არსებული გავლენის შენარჩუნების და კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, ხელახალი პროვოკაციის მოწყობა და საქართველოში სრულმასშტაბიანი ოკუპაციის დაწყება, შესაძლოა, ერთადერთი გამოსავალიც იყოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სრული დამორჩილებისათვის. ასეთ შემთხვევაში კი, დასავლეთის და თურქეთის მცდელობები სომხეთის მიზიდვის მიზნით აბსოლუტურად ფუჭი და უპერსპექტივო აღმოჩნდება. შესაბამისად, მთლიანად რეგიონი დიდი ხნით დაკარგავს მნიშვნელობას დასავლური ინტერესებისთვის.

P.S. წინამდებარე სტატია უახლოეს მომავალში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდება საერთაშორისო ანალიტიკურ ინტერნეტ-ჟურნალში: www.eurodialogue.org

გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის განცხადება უშიშროების საბჭოზე

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს მთავრობა ღრმა სინანულს გამოხატავს საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის დასრულების გამო და ამას განიხილავს, როგორც რუსეთის ხელისუფლების არაკონსტრუქციულ პოზიციას. მისია, საქართველოს აფხაზეთის რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, დიდი ხნის მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ის ფაქტი, რომ მისიის მოღვაწეობა ერთი ქვეყნის პოზიციის გამო სრულდება, ჩემი მთავრობის ღრმა შეშფოთების საგანს წარმოადგენს და ეს ნაბიჯი მძიმე ტვირთად დააწვება ამ ინსტიტუტის არსებობას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მიერ ამ მისიის უარყოფა ცალკე აღებულ ნაბიჯად არ უნდა იყოს განხილული, არამედ ეს არის იმ ფართო სტრატეგიის ნაწილი, რომლის განხორციელებაც ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში საქართველოში რუსეთის შემოჭრამდე დაიწყო. როგორც ჩანს, რუსეთს განზრახული აქვს საქართველოში მოსპოს საერთაშორისო თანამეგობრობის ყოფნა: რუსეთმა გასულ თვეს საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელების საკითხსაც ვეტო დაადო.

მსურს, გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლების მიმართ იმ უმძიმესი სამუშაოსთვის, რასაც ისინი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის უფლებების დასაცავად ახორციელებდნენ. საბოლოო ჯამში, მათ მიერ შესრულებული ნაყოფიერი სამუშაო ძირგამოთხრილი აღმოჩნდა რუსეთის სამხედრო ძალების და იმ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ დანიშნული ხელისუფლების მხრიდან.

ჩემი მთავრობის სახელით ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო საქართველოს მეგობარ ქვეყნებს ამ საბჭოში და საბჭოს გარეთ, რომლებმაც მძიმე სამუშაო გაწიეს აღნიშნული მისიის შენარჩუნებისთვის. ჩვენ მადლიერნი ვართ მათი გარკვეული მცდელობებისა და მხარდაჭერისთვის ჩვენი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში. ჩვენ მათთან ერთად გავაგრძელებთ მუშაობას მთელ ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მუშაობა.

გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის დახურვის შედეგები ასეთი იქნება: საგრძნობლად შემცირდება ობიექტური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა, როგორც უსაფრთხოების, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ. გაერო-ს მისიის დასრულება ასევე გაართულებს რეგიონში რუსული შეიარაღებული ძალების გადაადგილებისა და ბაზირების შესახებ ინფორმაციის დოკუმენტურად დამოწმებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელიც 18 მაისს გამოქვეყნდა, ცხადად არის ნათქვამი, რომ რუსეთი არღვევს უშიშროების საბჭოს N1866-ე რეზოლუციას. ნათელია, რუსეთს არ სურს მის მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების უგულვებელყოფის დამადასტურებელი მოწმის არსებობა.

ასეთი არაკონსტრუქციული ქცევით რუსეთი აგრძელებს გასული წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული შეთანხმების დარღვევას, ისევე როგორც 8 სექტემბერს ევროკავშირის ფრანგული თავმჯდომარეობის შუამავლობით განხორციელებული ნაბიჯის უგულვებელყოფას. უდავოა: რუსეთი არ სცემს პატივს საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. რუსეთი მიდის თვითიზოლაციისკენ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორიცაა სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და ამით აღრმავებს ნაპრალს მასსა და დანარჩენ სამყაროს შორის.

თქვენო აღმატებულებავ,

დღეს, რუსეთისა და მის მიერ დასმული რეჟიმების მიერ უხეშად არის უარყოფილი 400 ათასზე მეტი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის (ვინც გადაურჩა ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღას) უფლება - დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში. ეს ადამიანები იმედით უყურებენ საერთაშორისო თანამეგობრობას. ისინი არ ელიან, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უარს იტყვის სამართლიანობის აღდგენის მცდელობებზე. ისინი მთელი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ელიან ახალი, უფრო ენერგიული ნაბიჯების გადადგმას, რისი შედეგიც უნდა გახდეს მათი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება საკუთარ სახლებში.

დიდი მადლობა

15 ივნისი, 2009 წელი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ბოლო წლის განმავლობაში რომ საგარეო პოლიტიკამ მძლავრად შემოაბიჯა ჩვენს ცხოვრებაში, ეს უკვე ყველასათვის ცნობილია და საგრძნობიც კი. მაგრამ საგარეო პოლიტიკაშიც ხდება მოვლენები, რომლებიც საქართველოს მოგვაგონებს — ზოგი ირიბად და ზოგიც პირდაპირ...

დღეს ორი ასეთი მოვლენა უნდა გავიხსენო.

პირველი ის იყო, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნაზე ილაპარაკა. რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრმა გარკვეული პირობებიც წამოაყენა, რამაც მის ნათქვამს ბევრად უფრო რეალისტური ხასიათი მისცა. ამას მაშინვე მოჰყვა, როგორც ჩვენი ჟურნალისტ-ექსპერტები იტყვიან, "მწვავე რეაქცია": ახლა ვეღარ ჩამოვთვლი, კონკრეტულად ვინ იყო, მაგრამ ბედუინის სამოსში გამოწყობილმა რამდენიმე ბატონმა ნეთანიაჰუს წინადადება დაახლოებით ისეთივე ტერმინებით გააკრიტიკა, საქართველოს პარლამენტის წინ გამართული მიკროფონიდან რომ გვესმოდა ყოველდღე ბოლო თვეების განმავლობაში.

საინტერესოა, რომ არგუმენტების კონკრეტულ შინაარსს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ისრაელის პრემიერის მიერ გამოთქმული ერთ-ერთი პირობა იყო, რომ პალესტინელებს არ უნდა ჰყავდეთ ჯარი. ამაზე პალესტინელებმა მიუგეს, ნურას უკაცრავად — ჯარის გარეშე, მარტო ეკონომიკაზე, აბა, რომელი სახელმწიფო განვითარებულაო. ჩვენი ადგილობრივი უკმაყოფილები ამის საპირისპირო აზრებს აფრქვევენ: ზემილიტარიზმიო, გაბერილი სამხედრო ხარჯიო და ა. შ. განსხვავება კი მხოლოდ ზედაპირულია: ეს ორი "არგუმენტი" ფუნქციურად ერთმანეთის ეკვივალენტურია.

საქმე ისაა, რომ შეიარაღებული პალესტინა და უიარაღო საქართველო ერთნაირად ხელსაყრელია არეულობის მოსურნეთათვის...

მაგრამ ესეც არ არის მთავარი მიზეზი, რომელმაც ისრაელის შეთავაზებაში საქართველო დამანახა. იმისათვის, რომ საქმის არსი უფრო გასაგები გახდეს, ერთ ციტატას მოვიყვან "24 საათის" 19 ივნისში გამოქვეყნებული მასალიდან "სემნები პასუხისმგებლობას ითხოვს", რომლის ავტორია ვერიკო თევზაძე: "როგორც საღამე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სემნები ყოველთვის დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს". დიახ, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი პიტერ სემნები სულ მუდამ დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს. ერთი წუთით დავივიწყოთ საღამე ზურაბიშვილის დიალოგის მიმართ დამოკიდებულების ევოლუცია — ახლა ეს არ არის საინტერესო. საინტერესო სხვა რამეა:

რა იყო ნეთანიაჰუს შეთავაზების ნამდვილი მოტივაცია — "რეალური მზადყოფნა" თუ "ბინძური პოლიტიკა"? ასე დასმული შეკითხვა, რა თქმა უნდა, იდიოტურად ჟღერს, მაგრამ გავიხსენოთ, რა ხშირად ისმის ჩვენს ყოფაში ეს ორი გამოთქმა: "რეალური მზადყოფნა" და "ბუნძური პოლიტიკა". თანაც პირველს აშკარად პოზიტიურ ელფერს ანიჭებენ, მეორეს კი - თვალსაჩინოდ ნეგატიურს. ზერელედ გადავხედოთ შესაძლო ვარიანტებს.

"რეალური მზადყოფნა". ამ გამოთქმის პოზიტიურობა, ძირითადად, "გულწრფელობასთან" არის დაკავშირებული, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავთა მიერ ცალსახად დადებით ღირებულებად მიიჩნევა. ისრაელის შემთხვევაში "რეალური მზადყოფნა" ნიშნავს არა მარტო და არა იმდენად იმას, რომ ნეთანიაჰუ უარს ამბობს თავისი ქვეყნისა და ხალხის მრავალწლიან ბრძოლაზე, არამედ იმას, რომ



პალესტინელთა სახელმწიფოს შექმნით გადაწყვეტილებათა მიღებისა და განხორციელების დამატებითი საშუალება მიეცემა იმათ, ვინც სულაც არ არის განწყობილი ცივილიზაციასთან შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღოს და განახორციელოს. საქართველოშიც ეს დაახლოებით იმავეს ნიშნავს, ოღონდ ტყვიასა და ტროტილის მუხტებს კვერცხები და ქვები ცვლის.

"ბინძური პოლიტიკა". გასაგებია, რომ შემოქმედებითი უნარი იშვიათობაა, მაგრამ სასურველი იშვიათობა. ეს დეფიციტი შემოქმედებისადმი მტრულ განწყობაში პოულობს ნუგეშს. ამ გარემოებიდან მომდინარეობს გამოთქმის ნეგატიური ელფერი: რისი კეთებაც წარმატებით არ შეგვიძლია, უეჭველად, ბინძური საქმეა, სხვა სიტყვებით: უშნო ვარ, მაგრამ პატიოსანი. ნეთანიაჰუს შემოთავაზებას არანაირი თავისთავადი ღირებულება არ აქვს: ის სწორედ იმ "მწვავე რეაქციის" გამოსაწვევად იქნა გაკეთებული. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, პედაგოგიური დემონსტრაციაა. ვის მიმართ?

საქართველოში, ეგრეთ წოდებული "ნეიტრალური" ინტელექტუალები ჯერ კიდევ აპრილამდე (მართალია, ისინი მაისშიც კი ვერ აფასებდნენ რეალისტურად ძალთა განაწილებას) ლაპარაკობდნენ "კოალიციურ მთავრობაზე". არგუმენტაცია იყო მარტივი: "დაუთმე, გადაუგდე ორი-სამი ადგილი მთავრობაში, ისინიც დაშოშმინდებიან და ხალხიც დაინახავს, ვისთან ჰქონია საქმე". ივნისმა აჩვენა, რომ ნამდვილი დათმობაც არ არის საჭირო: საკმარისია გადაკრულად ნათქვამი სიტყვა და ყველაფერი გამოჩნდება. ცხადია, ის, რაც "დიალოგზე" პირველი სიტყვით დაიწყო და სალომე ზურაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროში გამწესებაზე გაჭიანურებული ხუმრობით გაგრძელდა, ასევე "პედაგოგიური" ხერხი იყო. მაგრამ ვის მიმართ?

ამ შეკითხვაზე პასუხი უკვე გავეცით. გავიხსენოთ ვერიკო თევზაძის მასალიდან ზემოთ მოყვანილი ციტატა.

ერთი სიტყვით, საქართველოსთვის ევროკავშირი იგივეა, რაც ისრაელისთვის -ამერიკელი დემოკრატები. ორივესთვის თვალსაჩინო პრეზენტაციებია მოსაწყობი, თორემ სიტყვით ნათქვამი არ ესმით. როგორც ნეთანიაჰუ, ასევე სააკაშვილი მხოლოდ ამას ამბობენ: "შეხედეთ, აბა, ამათთან სერიოზული ლაპარაკი შეიძლება?". ერთი ობამას ეუბნება, მეორე — სემნების.

ამგვარი პარალელი, თავისთავად, საინტერესო კულტურული თუ ისტორიული დისკუსიის საგნად შეიძლება იქცეს. მოკლედ ვიტყვი, რომ ისტორია და კულტურა, რა თქმა უნდა, ევროპული უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, მაგრამ, თუ აკადემიური ინტერესით არ შემოვიფარგლებით და კონკრეტული შედეგების მოლოდინსაც გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ არა მარტო ლაკონურობის მოსაზრებებით, არამედ სხვა მრავალი მიზეზითაც ძია სემნების უბრალოდ ძია სემი აჯობებს.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ასეთი პარალელების მოძიება და გაანალიზება ორმაგად სასარგებლოა: ერთი მხრივ, მიგვაჩვევს ჩვენი ლოკალური ამბების უფრო ფართო კონტექსტში განხილვას, მეორე მხრივ კი, დაგვეხმარება, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სინამდვილის ინტელექტუალური და პოლიტიკური ინტერპრეტაციები. ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც მიგვახვედრებს, რომ საქართველოში პოლიტიკა არსებობს.

პოლიტიკა ხომ ნატიფი შუქჩრდილების, მოუხელთებელი კონტრასტების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მრავალგვარობისა და მოულოდნელობის შემჩნევასა და გამოყენებას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით, აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას რამდენიმე დღის წინათ გაკეთებული განცხადება, რომ ის დიდ განსხვავებას ვერ ხედავს აჰმადინეჯადსა და მუსავის შორის, ძალიან შორს დგას პოლიტიკისაგან და თუ მისი ავტორი ამ შემთხვევაში "გულწრფელია", მას შეიძლება ეს ძალიან ძვირადაც დაუჯდეს.

მეორე შემთხვევა, როცა საქართველო უკვე პირდაპირი ტექსტით მოიხსენიება, სწორედ ირანთანაა დაკავშირებული.

მაგრამ ჯერ შევაჯამოთ უკვე ნათქვამი და ისიც აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური ალღო ძალიან ჰგავს იუმორის გრძნობას. ყოფითად, იუმორის გრძნობა აქვსო, იმაზე იტყვიან, ვინც ბევრს და წარმატებით ხუმრობს. ხშირად ასეც არის. მაგრამ წარმატებული ხუმრობა მხოლოდ გარეგნული შედეგია... არსებითად, იუმორის გრძნობა ნიშნავს სასაცილო მხარეების დანახვას იქ, რაზეც უიმისოდ არავის ეცინება და პირიქით... მაგალითად, იუმორის ძლიერი და ღრმა გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი შეიძლება გულწრფელად ატირდეს ჩარლი ჩაპლინის ფილმების ყურებისას...

ახლა კი შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ასოციაციების გამომწვევი მეორე მოვლენა არის ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერის, აიათოლა ალი ხამენეის შემდეგი განცხადება: "იმან, რასაც ზოგი აკეთებდა ირანში, შეცდომაში შეიყვანა დასავლეთი. მათ იფიქრეს, რომ ირანი საქართველოს ჰგავს. რამდენიმე წლის წინ ერთმა ამერიკელმა სიონისტმა ინვესტორმა განაცხადა (თვითონ თქვა, და მედიაშიც იუწყებოდნენ), 'საქართველოში 10 მილიონი დოლარი დავხარჯე და ხავერდოვანი რევოლუციით ხელისუფლება დავამხე, მის მაგივრად ახალი მოვიყვანეო'. სულელს ეგონა, რომ ისლამური რესპუბლიკა — ეს დიდი ერი — ისეთივეა, როგორც... რა ქვეყანას ადარებენ ირანს? ჩვენი მტრების პრობლემა ის არის, რომ ვერ გაუცნობიერებიათ, რა ერი ვართ".

სწორედ აქ გვჭირდება იუმორის გრძნობის მსგავსი პოლიტიკური ალღო: დავინახოთ, რაოდენ ემსგავსება ერთმანეთს გარეგნულად და ზოგჯერ შინაარსითაც ძალიან განსხვავებული და რაოდენ განსხვავდება შინაარსითა და მნიშვნელობით ერთმანეთის ძალიან მსგავსი სიტყვები და რეალიები.

ამ თვალსაზრისით, აიათოლას ნათქვამი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ირანი საქართველოს მხოლოდ ერთ ნაწილს ჰგავს. ამ ნაწილის გასარკვევად კი გადავშალოთ საპატრიარქოს ეგიდით გამომავალი ჟურნალი "ერი და ბერი", N7 (25), 2004 წელი, გვ. 6-8. აქ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსი სტეფანე კალაჯეიშვილი სწორედ რომ აიათოლას სულიერ ძმად გვევლინება: "დიდი საფრთხის წინაშე დგას საქართველო. ქართველ ხალხს თვალსა და ხელს შუა აცლიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას. სახელმწიფო რელიგიად, ყოველგვარი გამოცხადების გარეშე, მკვიდრდება ლიბერალიზმი. დიახ, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მარქსიზმის ადგილს ახალი სახელმწიფო იდეოლოგია — ლიბერალიზმი იმკვიდრებს. ამ იდეოლოგიას აქვს პრეტენზია, რომ იყოს არბიტრი, ყველა საკითხში, მათ შორის სარწმუნოების საკითხებშიც. ჩვენ გვატყუებენ, თითქოს იბრძვიან ჩვენი უფლებებისათვის, თავისუფლებისათვის, სინამდვილეში კი, ცოდვის მონობასა და სიცრუეს — 'მარადიულ ღირებულებებად' ამკვიდრებენ".

იგრძენით მსგავსება? ჯერ არა? აი, ახლა კი ნამდვილად იგრძნობთ: "ამ ახალი სახელმწიფო რელიგიის უმაღლესი ქურუმები საზღვარგარეთიდან მართავენ პროცესებს, შიგნით კი ბოკერიები, გვახარიები, ნაირაგელაშვილები, ზურაბაშვილები, ბუღაძეები... და მათ აყოლილი პოლიტიკოსები გვმოძღვრავენ," — იქვე დასძენს უსამღვდელოესი სტეფანე.

როდესაც საქმე ძალაუფლებასა და ადამიანზე კონტროლს ეხება, ისლამსა და ქრისტიანობას შორის შინაარსობრივი განსხვავებები უკანა პლანზე იწევს. ამ ორ სულიერ ლიდერს, როგორც მოყვანილი სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, მხოლოდ მასშტაბი განასხვავებს ერთმანეთისაგან.

მსგავსება კი ბევრია და მათგან ყველაზე არსებითი არის შემდეგი: ერთსაც და მეორესაც საკუთარი ხალხი უგანაჩენო ფარად მიაჩნია, ერთიც და მეორეც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ გარედან გადმორიცხული ფულით არის შესაძლებელი საზოგადოების შეცვლა და ადამიანების გონება, სურვილები, მისწრაფებები, ზნეობრივი განსჯის უნარი, ღირსების გრძნობა სათვალავში ჩასაგდები არ არის. ერთსაც და მეორესაც ჰგონია, რომ ადამიანები გადამწყვეტ სასიცოცხლო არჩევანს ხუთი ან ათი დოლარის ფასად აკეთებენ და სხვა რაიმე მოსაზრებები ან მიზეზები ამ საქმეში გასათვალისწინებელი სულაც არ არის.

მაგრამ არის კიდევ ერთი საინტერესო პარალელიც. დავაკვირდეთ ალი ხამენეის შემდეგ სიტყვებს: "ერთმა ამერიკელმა სიონისტმა ინვესტორმა". ახლა ნუ დავიწყებთ იმაზე მსჯელობას, არის თუ არა ჯორჯ სოროსი სიონისტი — ჩვენი გაზეთი რესპექტაბელური გამოცემაა და ასეთ რამეს თავის ფურცლებზე არ დაუშვებს. ეს ტერმინი აქ ერთგვარ პაროლადაა გამოყვანილი: ეპისკოპოსი სტეფანე აქ ალბათ "მასონს" ჩასვამდა. ჩვენ ახლა სხვა, უფრო ფაქიზი მომენტი გვაინტერესებს და მის გასაგებად უნდა გავიხსენოთ აჰმადინეჯადის მრავალჯერ განცხადებული მიზანი: ისრაელი არ უნდა არსებობდეს.

მეორე მხრივ, ალი ხამეინის ნათქვამის ზოგადი შინაარსი — რომ საქართველოში პოლიტიკური და სოციალური ძვრების უკან "გარეშე ძალები", კერძოდ კი, ამერიკა დგას — ეს არის როგორც ადგილობრივი ქუჩის ოპოზიციის, ასევე რუსული პოლიტიკური და მედია დისკურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლოკუსი.

თუ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ტაქტიკა ბენიამინ ნეთანიაჰუს კონკრეტულ ნაბიჯებთან სიახლოვეს ავლენს, ისიც ცხადია, მსოფლიო პოლიტიკურ სურათში სად უნდა ვეძებოთ მისი ანტიპოდის ეკვივალენტი. და თუ ერთ ბიბლიურ სახეს გამოვიყენებთ, ისიც ცხადი უნდა იყოს, ვის სჭირდება ქვები სასროლად და ვის — საშენებლად.

ლევან გოგიჩაიშვილის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დღეს გახდება ცნობილი

"9 აპრილის ახალგაზრდული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის ლევან გოგიჩაიშვილის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დღეს გახდება ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს ბრალდებულის ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ შესაბამისი საჩივრით 19 ივნისს მიმართა და გოგიჩაიშვილისთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის გირაოთი შეცვლა მოითხოვა. კორკოტაძე სასამართლოს გირაოს სახით 2 000 ლარის გადახდას სთავაზობს.

"არანაირი იმედი არ გვაქვს, რომ სააპელაციო სასამართლო საჩივარს დააკმაყოფილებს, უბრალოდ, ვალდებულები ვართ საქართველოში ყველა ინსტანცია გავიაროთ, რათა ევროსასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება მოვიღოთ", - აცხადებს ადვოკატი.

ლევან გოგიჩაიშვილი 8 ივნისს, წყნეთში, ირაკლი ბათიაშვილის ქალიშვილის ირინა ბათიაშვილის დაბადების დღეზე მომხდარ ინიციდენტშია ბრალდებული. მეგობრებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს 17 წლის დავით ლეჟავა დანით დაჭრეს.

"ბოლოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი რამდენიმე დღის წინ ვნახე. მასთან შესვლას ხვალაც ვაპირებ. ჯანმრთელების მხრივ, ის კარგადაა, მასზე, როგორც თავადაც ამბობს, არანაირ ზეწოლას ადგილი არ აქვს", - აცხადებს ადვოკატი ნათია კორკოტაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასება

გუშინწინ, გვიან ღამით, უცნობმა პირებმა პარლამენტის შენობაში შესასვლელი კარი დააზიანეს. საკანონმდებლო ორგანოში შესასვლელ კარს რამდენიმე ახალგაზრდამ სითხით სავსე ბოთლი ესროლა, რის შედეგადაც აალება მოხდა. როგორც საკანონმდებლო ორგანოში აცხადებენ, საშვთა ბიუროს მხარეს შესასველი კარი მთლიანად დამწვარი არ არის, თუმცა მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი ეჭვმიტანილი სამართალდამცველებმა დააკავეს. როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, დაკავებულია ერთ-ერთი ის პიროვნება, რომელმაც პარლამენტის კარს ბოთლი ესროლა.

"ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს და მე ნამდვილად იმედი მაქვს, რომ ამ პიროვნებისგან შევიტყობთ, რატომ მოხდა ეს ფაქტი, იყო ეს მათი ინიციატივა, თუ არსებობდა რაიმე დავალება, რომ პარლამენტისთვის ცეცხლი გაეჩინათ", - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებითვე, "ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე უაღრესად საშიშ პროცესთან და მოვლენებთან გვაქვს, რომლის დაგმობა ყველა პოლიტიკური ძალის მიერ, აუცილებელია".

პირველი

ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წევრები: ბადრი ციმინტია, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი სევერიან კიკალიშვილი და ასევე ადრე ნასამართლევი, ირაკლი შულაია, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან 2008 წლის დეკემბერში საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სამარშრუტო ტაქსის მძღოლსა და მისი მგზავრზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმასა და ძარცვაში. თავდამსხმელებმა დანის მუქარით გაიტაცეს სამარშრუტო ტაქსი და მისი რეალიზაციის მიზნით გადაიყვანეს რუსების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეჭვმიტანილებს მგზავრი და მძღოლი რვა საათის განმავლობაში საბურთალოს სასაფლაოზე ჰყავდათ დაბმული.

სამართალდამცველების ინდორმაციით, დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს

ჯი-ეიჩ-ენი

"ნიუ-იორკ თაიმსის" ჟურნალისტმა ტყვეობიდან გაქცევა შეძლო

"ნიუ-იორკ ტაიმისის" ჟურნალისტმა დევიდ ეს როდმა, რომელიც პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე მომქმედმა ერთ-ერთმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ გასული წლის 10 ნოემბერს გაიტაცა, ტყვეობიდან გაქცევა შესძლო. თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის რობერთ გიბსონის განცხადებით, აშშ მოხარულია ჟურნალისტის გათავისუფლებით და სამშობლოში მის დაბრუნებას ელოდება.

"როდისა და მისი მეგობრების გაქცევას აშშ განიხილავს, როგორც ხანგრძლივი ინცინდენტის დასრულებას", - განაცხადა გიბსინმა.

როდი, მისი ავღანელი კოლეგა და მძღოლი ტყვედ პროვინცია ლოგარში აიყვანეს, როდესაც იგი თალიბების დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერისგან ინტერვიუს აღებისთვის ემზადებოდა. როდის გაქცევის დეტალების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ ვრცელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

კეთილსინდისიერი შემძენი და დაზარალებული მესაკუთრე

თამარ კაკიტაძე

უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და მასთან დაკავშირებული პროცედურა, რომელიც ზოგ შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარისთვის არასასურველი შედეგით სრულდება, საკმაოდ პრობლემატური და აქტუალურია საზოგადოებისთვის და აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკისთვისაც. მოქალაქეთა შორის კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად და იმისთვის, რომ მათ პრობლემები აიცილონ, საჭიროა სამართლებრივი ცოდნა, რისი დეფიციტიც სერიოზულ პრობლემებს ქმნის. მოძრავი და უძრავი ქონების მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის სამართლებრივ სტატუსსა და მის უფლებებს კანონმდებლობა განსაზღვრავს.

ქართული სამოქალაქო კოდექსის სერიოზულ თავისებურებას წარმოადგენს, როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობის დეტალური მოწესრიგება. ამ მხრივ, იგი თანამედროვე ევროპულ კერძო სამართალთან სრული ჰარმონიზაციით გამოირჩევა. ამ შემთხვევევაში, მთავარი საკითხი ქონების მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი ბალანსირებაა. კანონმდებლობა მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტს მოძრავი და უძრავი ქონების ბრუნვის შემთხვევაში განსხვავებულად აწესრიგებს. თუ პირველ შემთხვევაში, წინა პლანზე დგას ქონების მესაკუთრის ინტერესები, მეორე შემთხვევაში, პრიორიტეტი ეძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს, - ამბობს უზენაესი სასამართლოს სპიკერი მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი.

თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, კეთილსინდისიერ შემძენს პრობლემა უფრო ხშირად უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უჩნდება. ამ საკითხის მოწესრიგების აუცილებლობა გამოწვეულია სამოქალაქო კოდექსის იმ ფუნდამენტური ნორმით, რომელიც უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობას შეეხება. ამ კოდექსის 183-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისთვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს."

უძრავი ქონების შეძენის ეს წესი კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის მოწესრიგებას განაპირობებს. კეთილსინდისიერი შემძენის პრობლემა დგება მაშინ, როცა სახეზეა საკუთრების ხარვეზი. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით კი ჩამოყალიბდა ნორმა, რომელიც თანამედროვე ევროპულ სამართალში უპრობლემოდ ჯდება. კერძოდ, ამ მუხლში აღნიშნულია: შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი მესაკუთრედ ითვლება, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე," - განმარტავს სპიკერი მოსამართლე.

კანონმდებლობით, კეთილსინდისიერი შემძენის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ორი აუცილებელი პირობა - წერილობითი გარიგება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

კეთილსინდისიერება არის სუბიექტური ფაქტორი - ჩემი დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტისადმი, რა ვიცი მე იმ ნივთის შესახებ, რომელსაც ვიძენ. ნამდვილად მესაკუთრისგან ვყიდულობ, თუ იგი ხარვეზიანი საკუთრებაა. კანონმდებლობით, მტკიცების ტვირთი შემძენს კი არ ეკისრება, ანუ მან კი არ უნდა ამტკიცოს კეთილსინდისიერი შემძენია თუ არა, ამას საჯარო რეესტრის ჩანაწერი ამტკიცებს. შეიძლება ჩანაწერი არასწორიც იყო, მაგრამ ვინაიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერს უტყუარობის პრეზუმფცია აქვს, შემძენი თავისუფლდება ამ ფაქტის მტკიცებისაგან.

ამის მიზანი არის ის, რომ სამოქალაქო ბრუნვა იყოს მტკიცედ სტაბილური და არ მოხდეს ქაოტურობა. სწორედ ამისათვის კანონმდებელი პრიორიტეტს ანიჭებს კეთილსინდისიერებას, - ასეთია ნუნუ კვანტალიანის განმარტება.

ერთი სიტყვით, კანონით, თუკი შემძენი კეთილსინდისიერია, საჯარო რეესტრის ხარვეზიანობაც იჩრდილება და იგი უფლებაწართმეულ მესაკუთრეს ვერაფრით ვერ შველის. მაგალითად, მესაკუთრე ხანგრძლივი მივლინებით წავიდა უცხო ქვეყანაში და საკუთარი ბინა დაუტოვა ახლო ნათესავს დროებით სარგებლობაში. ამ უკანასკნელმა ყალბი დოკუმენტების მეშვეობით მიაღწია იმას, რომ საჯარო რეესტრში აღირიცხა, როგორც ამ ბინის მესაკუთრე და იგი გაასხვისა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ნამდვილი მესაკუთრე ძალიანაც რომ ეცადოს ბინის დაბრუნებას, ვერაფერს გახდება, რადგან მყიდველი კეთილსინდისიერი შემძენია და ბინაც მას დარჩება საკუთრებაში.

წმინდა ადამიანური პოზიციიდან თუ შევხედავთ ამ საკითხს, ნამდვილი მესაკუთრის უფლებას ცოტა ვინმე თუ შეეწინააღმდეგება. დავა უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ და კეთილსინდისიერი შემძენის საწინააღმდეგოდ. მაგრამ რა შედეგები მოჰყვება ამას? ყველაზე მძიმე შედეგი სამოქალაქო ბრუნვის შეფერხება და მისადმი უნდობლობის გაჩენა იქნება. თუ შემძენი არ იქნება დაცული მისი კეთილსინდისიერების შემთხვევაშიც, ცხადია, უძრავი ქონების შესაძენად ინტერესი მოიკლებს, ანუ მოიშლება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. საჯარო რეესტრის არსებობა კი კეთილსინდისიერ შემძენს მომეტებული პასუხისმგებლობისა და რისკისაგან ათავისუფლებს, - ამბობს სპიკერი მოსამართლე.

თუმცა, თუ მსყიდველმა იცის, რომ ქონების მესაკუთრე საჯარო რეესტრში კანონიერად არ არის რეგისტრირებული და მხარე ამის დამტკიცებას შეძლებს, მაშინ მას კანონი ვეღარ დაიცავს და იგი არაკეთილსინდისიერ შემსყიდველად გამოცხადდება. აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულია ქონება დააბრუნოს.

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოჯახის ერთ-ერთი წევრი მეორე წევრს ეხმარება, რომელიც ქონების სრული მესაკუთრე არ არის, რომ საჯარო რეესტრში ქონების სრულ მესაკუთრედ გამოცხადდეს. ეს მას სჭირდება იმისათვის, რომ შემდეგ მემეკვიდრეობის ან ჩუქების ხელშეკრულებით ქონება თვითონ გადაიმტკიცოს. ასეთ შემთხვევაში შემძენი კეთილსინდისიერად ვერ ჩაითვლება, - ამბობს სპიკერი მოსამართლე.

ქართულ სიმანდვილეში, მეუღლეთა თანასაკუთრებაზე უფლების წარმოშობის საკითხი ხშირად კამათს იწვევს. კანონით დადგენილია, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების

განმავლობაში შეძენილი ქონება საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს.

სასამართლო პრაქტიკაში ბერძენიშვილი-წიქარიშვილი-ჭელიძის მსგავსი დავები ხშირად გვხვდება. კერძოდ, როგორც საქმის მასალებით გაირკვა, ბერძენიშვილი და წიქარიშვილი რეგისტრირებულები იყვნენ ქორწინებაში. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს ბინა, რომელიც მხოლოდ წიქარიშვილის სახელზე აღირიცხა.

მოგვიანებით, წიქარიშვილმა ბინა ჭელიძეს მიჰყიდა და ნასყიდობის ხელშეკრულებაც გაუფორმა. მართალია, ბინის ნასყიდობის გარიგება გაფორმდა, მაგრამ ჭელიძის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ მოხერხდა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ბერძენიშვილმა სასამართლოს მიმართა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა და თანასაკუთრებაში წილის აღიარება მოითხოვა. სასამართლო განხილვის გამო სადავო ბინას ყადაღა დაედო.

სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი ჭელიძის შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე. ამდენად, ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია, არსებობს რეგისტრაციის ნება, მაგრამ რეგისტრაცია არ მომხდარა

ქონებაზე ყადაღის დადების გამო. რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ჭელიძე არის კეთილსინდისიერი შემძენი და ამ მოტივით ბერძენიშვილის მოთხოვნა ბინის ნასყიდობის ბათილად ცნობაზე არ დააკმაყოფილა. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაც ანალოგიური იყო, - აღნიშნავს სპიკერი მოსამართლე და განმარტავს: **185-ე მუხლი მყიდველის ქონებრივ ინტერესებს იცავს, ანუ გარანტიას იძლევა, თუ მყიდველმა შეიძინა უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში მითითებული ამ ნივთის მესაკუთრისაგან, რისთვისაც გადაუხადა მას განსაზღვრული თანხა, იგი არ დაზარალდება. მას ნივთი არ ჩამოერთმევა, მიუხედავად იმისა, მოასწრო თუ არა ამ ნივთის მესაკუთრედ აღრიცხვა საჯარო რეესტრში, მით უფრო, როდესაც აღრიცხვა ვერ ხერხდება ბინაზე დადებული ყადაღის გამო."**

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ."

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი კეთილსინდისიერ შემძენის ინტერესების

დაცვის სამართლებრივ გარანტიებს იძლევა, ხოლო 1160-ე მუხლი კი თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვის იურიდიულ მექანიზმს აწესებს. სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს, ვინაიდან, თანამესაკუთრე მეუღლემ არაფერი იღონა, რომ საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინა. ბუნებრივია, კეთილისინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის საკითხი მაშინაც დადგება, როცა თანამესაკუთრე მეუღლისაგან მალულად ერთ-ერთი მეუღლის სახელზე მთელი საკუთრების რეგისტრაცია მოხდება. მიგვაჩნია, რომ კეთილსინდისიერი შემძენის უფლების უარყოფის საფუძველი ვერც ეს შემთხვევა გახდება, - ამბობს უზენაესი სასამართლოს სპიკერი მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი, რომლის რჩევით, კეთილსინდისიერი შემძენის შემთხვევაში, დაზარალებულ მესაკუთრეს მხოლოდ და მხოლოდ ის დარჩენია, რომ სამოქალაქო სარჩელით ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში კი სამართალდამცველ ორგანოებს მიმართოს.

საია-ს მიმართვა მთავარ პროკურატურას

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და 15 ივნისს, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარ ინციდენტში მონაწილე სამართალდამცველების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები ირწმუნებიან, რომ სამართალდამცველების ქმედებებში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, საია მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმ პირების მიმართ, რომლებიც აქციის მონაწილეების დარბევაში, ცემასა და დაკავებაში მონაწილეობდნენ, უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის, ცემისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი მიესალმება შსს განცხადებას იმის თაობაზე, რომ 15 ივნისს, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის გამო სასტიკი საყვედური გამოეცხადა 2 თანამშრომელს, საყვედური - 4 თანამშრომელს, ხოლო სამ თანამშრომელს შეუჩერდა უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე.

ამავე დროს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება შსს-ს და მთავარი პროკურატურის მხრიდან.

"გადარჩენილ ვიდეო და ფოტომასალაზე აღბეჭდილი კადრებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უსწორდებიან შსს-ს თანამშრომლები და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები აქციის მონაწილეებს და შემთხვევით სამმართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გამვლელებს," - აცხადებენ ორგანიზაციაში.

საკუთარი ინფორმაცია

ელექტრონული კანცელარია 64 სარეგისტრაციო სამსახურში მოქმედებს

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში დასრულდა ელექტრონული კანცელარიის დანერგვა.

პროგრამის მეშვეობით ქვეყნის ყველა ქალაქისა და რაიონის ტერიტორიულ სამსახურებს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქმისწარმოება. როგორც საჯარო რეესტრში განმარტავენ, სარეგისტრაციო სამსახურში პროგრამის ამოქმედების შედეგად ოპერატიულად ხდება შესული წერილების აღრიცხვა, ხელმძღვანელობისთვის დროულად გადაცემა, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გაგზავნა, ინფორმაციის შენახვა, მოძიება, ყოველთვიურად დოკუმენტბრუნვის მიხედვით შესრულებული და შეუსრულებელი დავალებების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და ა.შ.

კანცელარიის პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ერთიანი ბაზა, დაიხვეწა საჭირო პროცედურები და ეფექტური გახდა როგორც თავად კანცელარიის, ასევე მთლიანად სააგენტოს მმართველობითი საქმიანობა.

ელექტრონული კანცელარიის პირველი ვერსია საჯარო რეესტრში 2007 წლის იანვრიდან ამოქმედდა. დროთა განმავლობაში პროგრამა დაიხვეწა და ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში ჩართვის პროცესიც აქტიურად დაიწყო.

დღეისათვის სააგენტოს სამოცდაოთხივე სარეგისტრაციო სამსახური სარგებლობს ელექტრონული კანცელარიის განახლებული ვერსიით.

პარალელურად მიმდინარეობს პროგრამის ამოქმედებადე არსებული სააგენტოს კანცელარიის არქივის ციფრულ ფორმატში გადატანა და ერთიან მონაცემთა ბაზაში განთავსება.

უახლოეს მომავალში აღნიშნული პროგრამა განთასდება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.reestri.gov.ge) და მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცემათ სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, სარეგისტრაციო სამსახურებში ინტერნეტით გაგზავნონ კორესპონდენციები და ასევე ელექტრონულად მიიღონ საჯარო რეესტრის მიერ მომზადებული პასუხები.

საკუთარი ინფორმაცია

რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი დაკავებულია

უსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი მიხეილ გლუშენკო, რამდენიმე დღის წინ, სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ სპასპორტო განყოფილებაში პასპორტის აღებისას დააკავეს. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოძიება მას 2003 წელს ჩადენილ დანაშაულში - ფულის გამოძალვაში ედავებოდა, თუმცა, საბოლოოდ გაირკვა, რომ ის სამი ადამიანის მკვლელობის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. საუბარია 2004 წლის მარტში, კიპროსზე მომხდარ მკვლელობაზე, როდესაც ადგილობრივმა სამართალდამცველებმა ერთ-ერთ ვილაში სამი რუსი - სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი ვიაჩესლავ შევჩენკო, კლუბ "ნევის პროსპექტის" ასოციაციის პრეზიდენტი იური ზორინი და თარჯიმანი გოგონა ვიქტორია ტრეტიაკოვა მოკლულები იპოვეს. პოლიეთილენის ტომრებში გახვეული ცხედრები აბაზანაში იყო მოთავსებული.

სტარავოიტოვას მკვლელობის საქმის განხილვისას მკვლელობის დამკვეთად მიხეილ გლუშენკო დაასახელეს

მიხეილ გლუშენკო ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა, ის რუსეთში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატების შევჩენკოსა და გლუშენკოს სახელების გარშემო სკანდალი ჯერ კიდევ 1998 წელს ატყდა, როდესაც ასევე დუმის ყოფილი დეპუტატი, პარტია დემოკრატიული რუსეთის წევრი გალინა სტარავოიტოვა მოკლეს.

გალინა სტარავოიტოვას მკვლელობის საქმის გამოძიებისას იყო ვერსია, რომ მკვლელობის სავარაუდო დამკვეთები სწორედ დუმის ყოფილი დეპუტატები შევჩენკო და გლუშენკო იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვერსიას რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები ახმაურებდნენ, მკვლელობის დაკვეთაში სავარაუდო ეჭვმიტანილი დეპუტატების წინააღმდეგ მათ არანაირი ღონისძიება არ გაუტარებიათ და მათთვის არანაირი ოფიციალური ბრალდება არ წარუდგენიათ.

გალინა სტარავოიტოვას მკვლელობის საქმეზე სასამართლომ განაჩენი 2005 წელს გამოიტანა. საქმის გამოძიებისას მკვლელობაში მონაწილე 6 ეჭვმიტანილი დააკავეს, თუმცა, განაჩენი მხოლოდ ორ მათგანს გამოუტანეს და საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. გალინა სტარავოიტოვას მკვლელობის საქმეში სამ ეჭვმიტანილზე კვლავ ძებნაა გამოცხადებული.

სასამართლომ განაჩენი ისე გამოიტანა, რომ დეპუტატის მკვლელობის დამკვეთი არ დასახელებულა.

გალინა სტარავოიტოვა პეტერბურგში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში გამოასალმეს სიცოცხლეს. მკვლელობა რომ დაკვეთილი იყო, ამაზე მაშინ არავინ დავობდა.

„უდანაშაულობის პრეზუმპციას დავიცავთ. გამოძიებას დაველოდებით. არ ვიცით, მიხეილ გლუშენკო რისთვის დააკავეს და შეძლებს თუ არა გამოძიება, რომ ის გალინა სტარავოიტოვას მკვლელობის დამკვეთად ოფიციალურად გამოაცხადოს, მომავალი გვიჩვენებს. თავის დროზე, სასამართლომ გამოაცხდა, რომ მკვლელობის დამკვეთის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა საქმის მასალებში მიხეილ გლუშენკოს გარემოცვის წევრების ჩვენებებია, რომლებიც თითს სწორედ მისკენ იშვერდნენ,“ - აცხადებენ გალინა სტარავოიტოვას ოჯახის წევრები.

საქმე ისაა, რომ სასამართლო პროცესზე, ბრალდების მხარის ერთ-ერთმა მთავარმა მოწმემ მკვლელობის დამკვეთად მიხეილ გლუშენკო დაასახელა. მოწმემ განაცხადა, რომ 1998 წლის ზაფხულში, მან, ვინმე სერგეი მუსინის (ძებნაში იმყოფება) დავალებით, გალინა სტარავოიტოვას თვალთვალი დაიწყო.

სტარავოიტოვას საცხოვრებელი სახლის მეზობლად მდებარე კორპუსის სახურავზე ვარჩევდი პოზიციას სნაიპერისთვის. მუსინს ეს დავალება იური კოლჩინმა მისცა, კოლჩინს კი სახელწმიფო დუმის დეპუტატმა - მიხეილ გლუშენკომ, - განაცხადა განსასჯელმა.

ერთ-ერთმა განსასჯელმა პროცესზე განაცხადა, რომ გალინა სტარავოიტოვას მკვლელობის ორგანიზებისთვის 10 ათასი დოლარი იყო გადახდილი და მკვლელობა დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.

1 ივლისიდან ახალი სამსახური ამუშავდება

აღსრულების ეროვნულ ბიუროში კერძო და სახელმწიფო აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა. კონკურში ტესტირება 150-მა მსურველმა გაიარა.

ობიექტურობისთვის გამოცდას ის დამკვირვებლები დაესწრნენ, რომლებიც არც სისტემის თანამშრომელები არიან და არც პროფესიით იურისტები. ამით ჩვენ კონკურსანტებისთვის დახმარების შესაძლებლობა გამოვრიცხეთ. შედეგებს სპეციალური კომპიუტერული სისტემა გაასწორებს, რომელიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს ამერიკის იურისტთა ასოციაციამ გადასცა" - აცხადებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე გიორგი ობგაიძე.

მისივე თქმით, ახალი სტრუქტურა, ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის, ადამიანებს საშუალებას მისცემს, თავისუფალი არჩევანი გააკეთონ და მომსახურების მიზნით, ან სახელმწიფო, ან კერძო აღმასრულებელს მიმართონ. გარდა ამისა, შეიქმნება კონკურენციის გარემო, რაც ორივე სტრუქტურას მოტივირებულს გახდის, რათა უკეთ მოემსახურონ მოქალაქეებს.

კერძო აღსრულებაში მუშაობის მაძიებელთა რეგისტაცია 26 მაისს დაიწყო. ახალი სამსახური 2009 წლის 1 ივლისიდან ამუშავდება.

მედიანიუსი

ორი აფეთქება აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან

აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთან გუშინ დილით ორი აფეთქება მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, პირველად, ასაფეთქებელი მოწყობილობა სწორედ მაშინ ამოქმედდა, როდესაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ავტომანქანამ გაიარა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია პატრულირებას აწარმოებდა და მას თან ახლდა "მედი ქლაბის" სამედიცინო ავტომანქანაც.

აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც მედი ქლაბის მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა. მზღოლი ავთანდილ ახალაძე მძიმედ დაიჭრა. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აფეთქებისას დაშავდა ექიმი გეგა პატიაშვილი. სხეულზე მიღებული დაზიანებების გამო ის ზუგდიდის საავადმყოფოშია მოთავსებული.

ამ აფეთქებიდან რამდენიმე წუთში, მეორე აფეთქების ხმაც გაისმა. ევროკავშირის წარმომადგენლებს შორის არავინ დაზიანებულა.

როგორც სააგენტო "პირველს" აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარომადგენლობის უფროსის მოადგილემ თორნიკე კილანავამ განუცხადა,

აფეთქების დეტალები ზუსტდება.

პირველი

ახალგაზრდა პრობაციონერი დასაქმდა

საქართველოს მთავრი პროკურატურის შუამდგომლობით, 21 წლის ჯემალ ხარებავა, რომელსაც 4 წელი პირობითი სასჯელი აქვს მისჯილი, დასაქმდა.

იგი თბილისის დასუფთავების საქალაქო სამსახურში იმუშავებს და საკუთარი შემოსავალი ექნება.

ხარებავა კოჯორში ელექტროსადენის მოპარვისთვის გაასამართლეს და 4- წლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს. დღეიდან კი 21 წლის ახალგაზრდა პრობაციონერს, რომელიც სპორტსმენია და დამთავრებული აქვს ფიზიკური აღზრდის აკადემია, საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და ნორმალური ცხოვრების დაწყების შანსი მიეცა.

როგორც მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ, თბილისის პროკურორმა დავით საყვარელიძემ განაცხადა, თბილისის მერიის დახმარებით მოხერხდა კიდევ ერთი ახალგაზრდის დასაქმება, ჯემალ ხარებავას გაუჩნდა სამსახური და დამოუკიდებელი შემოსავალი, რომელიც მას ამ ეტაპზე ძალიან სჭირდებოდა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც საქართველოს პროკურატურის ინიციატივით პრობაციონერი სამსახურს შოულობს. ერთი თვის წინ მთავარი პროკურატურის რეკომენდაციით, გელა ქუხილავას სამუშაო კერძო კომპანია "უშბა-დისტილერმა" შესთავაზა.

პროკურატურა განაგრძობს პრობაციონერების დასაქმებაზე ზრუნვას.

ჯი-ეიჩ-ენი

ირანი რევოლუციის ზღვარზე

პირველი გვერდიდან

AFP' 2009

პარასკევს, არჩევნებიდან ერთი კვირის თავზე, ხელისუფლება მოვლენებისთვის წერტილის დასმას შეეცადა. ხალხის წინაშე სიტყვით გამოვიდა ირანის სულიერი ლიდერი და რეალური მმართველი აიათოლა ალი ჰამენეი. ეს არჩევნების შემდეგ ჰამენეის პირველი გამოსვლა იყო, წინა შაბათს მხოლოდ მისი განცხადება გავრცელდა. პარასკევის ლოცვის შემდეგ ჰამენეი არჩევნების თემას შეეხო, რომელმაც ირანის ისლამური რესპუბლიკის მთელი არსებობის მანძილზე ქვეყანაში ყველაზე მასშტაბური კონფლიქტი გამოიწვია. ჰამენეიმ ორი კანდიდატის დაპირისპირებულ მომხრეებს ერთმანეთზე თავდასხმისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. მისი აზრით, ამ სიტუაციით სარგებლობენ ირანის მტრები უცხოეთში. თვითონ ირანელები კი, უზენაესი ლიდერის სიტყვებით, არჩევითი სისტემის პატიოსნებას და ქვეყნის ხელმძღვანელობას უნდა ენდობოდნენ. მან მოქმედ პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის არჩევნებში გამარჯვება კანონიერად მიიჩნია.

ხელისუფლებამ მიტინგები და საპროტესტო გამოსვლები აკრძალა, თუმცა ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა ამან ვერ შეაჩერა. შაბათსაც და კვირასაც ქუჩებში რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა. ოპოზიციის ცნობით, მათ თეირანის ახლომდებარე სხვა ქალაქებიდანაც ემატება ხალხი. შაბათს პროტესტანტებმა, რომლებსაც ირანის ოფიციალური არხი ტერორისტებს უწოდებს, დაწვეს ორი ბენზინგასამართი სადგური, ცეცხლი წაუკიდეს მეჩეთს და თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტს (ლაპარაკია პატრულზე). შეტაკებებისას დაიღუპა ათი და დაშავდა ასზე მეტი ადამიანი. ირანის ტელევიზიის ამ ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროებით დადასტურებას დასავლური საინფორმაციო სააგენტოები ვერ ახერხებენ. არის ცნობები, რომ მხოლოდ შაბათს, სულ ცოტა, 19 ადამიანი დაიღუპა, მთლიანად ერთკვირიანი გამოსვლების შედეგად კი - 150 კაცამდე. მეჩეთის დაწვისას მსხვერპლის არსებობა არ დადასტურდა. ფრანს-პრესის ინფორმაციით, თეირანის გარეუბანში, აიათოლა ჰომეინის მავზოლეუმთან აფეთქება განახორციელა თვითმკვლელმა ტერორისტმა, რის შედეგადაც იგი დაიღუპა და 8 კაცი დაშავდა. ოპოზიციონერებმა აჰმადინეჯადის მომხრეთა შტაბიც დაწვეს. პოლიციას ჰაერში სროლაც მოუწია, რათა დაპირისპირებული ჯგუფები ერთმანეთთან არ მიეშვა. სამართალდამცავები პროტესტანტებს ცენტრალურ მოედნებამდე არ უშვებენ და ამისთვის ხელკეტებს, წყლის ზარბაზნებს და ცრემლსადენ გაზს იყენებენ. ასობით ადამიანი დაპატიმრებულია, მათ შორის პოლიტიკოსები და რეფორმატორების მომხრე ჟურნალისტებიც კი. პოლიცია ზომების გამკაცრებით იმუქრება. მუსავის თავისი თანამებრძოლების დაშოშმინება მოსთხოვეს. მუსავი კი მშვიდობიანი პროტესტის გაგრძელების მომხრეა და აღნიშნავს, რომ კონსტიტუციია ამის უფლებას იძლევა. მუსავი, მისი დაპატიმრების შემთხვევაში, ხალხს საყოველთაო გაფიცვისკენ მოუწოდებს. ოპოზიცია ხმების შერჩევით გადათვლაზე არ თანხმდება, მიაჩნია, რომ ეს შედეგს არ გამოიღებს და ამიტომ ახალ არჩევნებს მოითხოვს. მუსავის განცხადებით, არჩევნების გაყალბება რამდენიმე თვით ადრე დაიგეგმა და მომზადდა. მისი ეს განცხადება აიათოლა ალი ჰამენეის გამოწვევაა, რომელიც არჩევნების შედეგებს კანონიერად მიიჩნევს. თუმცა წერილის ტექსტში სულიერი ლიდერი არ არის ნახსენები. მიმართვაში არც იმის მინიშნებაა, რომ მუსავი მხარს უჭერს ამ ტიპის საპროტესტო გამოსვლებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ძალიან მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა. არჩევნებამდე არსებული თავისუფლება შედეგების გამოცხადების შემდეგ ლამის ერთ დღეში გაქრა. რამდენიმე ინტერნეტსაიტი და რედაქცია დაიხურა. გაზეთებში უმკაცრესი ცენზურა ამოქმედდა. იმ სტატიების ადგილი, სადაც ეს მოვლენები უნდა გაშუქებულიყო, ზოგჯერ უბრალოდ თეთრად რჩება - ეს, როგორც ჩანს, ხან პროტესტია, ხან კი დაწერილიდან არაფერს ტოვებს ცენზურა. უცხოელი ჟურნალისტებიც მძიმე პირობებში არიან. მათ მიტინგების და საპროტესტო აქციების გაშუქების საშუალებას არ აძლევენ, ქუჩებში თავისუფალი გადაადგილებაც არ შეუძლიათ, თუმცა მათ სტატიებს ცენზურა არ ეხება. ზოგიერთ საკორესპონდენტო პუნქტს ქვეყნის დატოვება შესთავაზეს. ირანში არჩევნებისთვის ჩასულ ჟურნალისტებს, რომლებსაც მიმდინარე მოვლენების აქტუალობის გამო ქვეყანში მეტ ხანს სურთ დარჩენა, ვიზებს არ უგრძელებენ.

ინტერნეტში ნამდვილი ომია გაჩაღებული. ოპოზიციური საიტების დახურვას მომხმარებლებმა და ოპოზიციის მომხრე ჰაკერებმა სამთავრობო საიტებზე შეტევით უპასუხეს და რამდენიმე საიტს მუშაობაც შეაწყვეტინეს. ამაში მათი უცხოელი მომხრეებიც ერთვებიან. თუმცა ექსპერთა აზრით, ამის შედეგი შეიძლება მხოლოდ ირანში ინტერნეტის შენელება გახდეს.

თანდათან დასავლეთის რეაქციაც მკაცრი ხდება. აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც აქამდე ძალიან ფრთხილ და ზომიერ განცხადებებს აკეთებდა, რათა ირანში ანტიამერიკული განწყობა არ გამოეწვია, გუშინ საკმაოდ მკაცრი გახდა და ღიად დაუჭირა მხარი ოპოზიციას. მან ირანის ხელისუფლებას მოუწოდა, არ გამოიყენოს ძალა და უზრუნველყოს ხალხის საპროტესტო განწყობის თავისუფალი გამოხატვა.

ირანიდან მომდინარე ამ მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძნელია სერიოზული ანალიზის გაკეთება, თუმცა პროტესტანტთა საერთო განწყობა, მით უფრო მეჩეთისა და ჰომეინის მავზოლეუმის ინციდენტები, იმას მიგვანიშნებს, რომ გარკვეულ ჯგუფებს არა მხოლოდ აჰმადინეჯადის პიროვნება არ მოსწონთ, არამედ სერიოზულად მობეზრდათ კლერიკალურ სახელმწიფოში ცხოვრება და უკვე სასულიერო პირების მმართველობასაც აპროტესტებენ. დღეს ასეთები შეიძლება ცოტანი არიან, მაგრამ ამ ტიპის პროტესტის ღიად გამოხატვამ მომავალში შეიძლება საერო მმართველობის მომხრეთა რიცხვი გაზარდოს და ხალხი აიათოლების ძალაუფლებასაც აქტიურად დაუპირისპირდეს.

„ნიუ იორკ თაიმსის" რეპორტიორი თავისუფალია

მარიკა იაშვილი

ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული გაზეთის "ნიუ იორკ თაიმსის" ჟურნალისტმა, რომელიც პაკისტანისა და ავღანეთის საზღვარზე მოქმედმა ბოევიკებმა გაიტაცეს, ტყვეობიდან თავის დაღწევა შეძლო.

დევიდ როდი გასული წლის 10 ნოემბერს, ავღანელ რეპორტიორთან ერთად გაიტაცეს. ამ დროს მასმედიის თანამშრომლები დავალებას ლოგარის პროვინციაში ასრულებდნენ, სადაც როდი თალიბთა ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსისგან ინტერვიუს აღებას გეგმავდა. თუმცა ის მანამდე გაიტაცეს, სანამ ინტერვიუს ჩაწერას შეძლებდა. ავღანელ კოლეგასა და ავტომობილის მძღოლთან ერთად, როდი დაუდგენელი პირების მძევალი გახდა.

როდმა გაქცევა კედელზე გადაძრომით მოახერხა. გაქცევის შემდეგ ამერიკელი ჟურნალისტი და მისი თანამგზავრი პაკისტანის სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელმა იპოვა, რომელიც გაქცეულებს დამალვაში დაეხმარა. ამის შემდეგ ყოფილი ტყვეები ქაბულთან ახლოს მდებარე "ბაგრამის" ავიაბაზაზე გაგზავნეს.

ჯგუფის მესამე წევრი - მძღოლი, ჯერ ისევ ტყვეობაშია და გათავისუფლებული როდი აცხადებს, რომ იმედი აქვს მასაც მალე იხილავენ.

თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი რობერტ გიბსი აცხადებს, რომ აშშ "ძალიან მოხარულია" როდის გათავისუფლებით და იმის გამო, რომ ის მალე სახლში დაბრუნდება. როდისა და მისი მეგობრის გაქცევას თეთრ სახლში "ხანგრძლივი და რთული" ინცინდენტის დასასრულად მიიჩნევენ, განაცხადა რობერტ გიბსმა.

როდი, რომელმაც წლის დასაწყისში პულიცერის პრემია მიიღო, გატაცებამდე ავღანეთში წიგნზე მუშაობდა.

"ნიუ იორკ თაიმსს" ჟურნალისტის გატაცების შესახებ ინფორმაცია მის გაქცევამდე არ დაუბეჭდავს, რადგან შიშობდა, რომ ნებისმიერ პუბლიკაციას როდის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა შეეძლო.

მედვედევი ბელარუსის რეაქციით შეშფოთებულია

რუსეთს საკუთარ ბაზარზე ბელარუსული რძის პროდუქციის ექსპორტის აკრძალვით გამოწვეული რეაქცია აშფოთებს. **"ჩვენ რამდენადმე შეგვაშფოთა მეგობრისა და პარტნიორის ბელარუსის რეაქციამ იმ ფაქტზე, რაც მოხდა,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა.

"ვითარება ძალიან მარტივია. მთავარია, სავაჭრო ურთიერთობები ცივილური იყოს, ისეთ ქვეყნებს შორისაც კი, როგორებიც მოძმე რუსეთი და ბელარუსი არიან,"- აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი. მისივე თქმით, მოსკოვმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მიანიშნა მინსკს, შეეცვალა იმ პროდუქციის (რძისა და ხორცის) სერტიფიკატები, რომლის ექსპორტსაც ბელარუსი რუსულ ბაზარზე ახორციელებდა. **"ჩვენ ვიცით, რომ ამ პროდუქციის მოცულობა ძალიან დიდია. ხორცისა და რძის პროდუქციის 100-პროცენტიან ექსპორტს ბელარუსი რუსულ ბაზარზე ახორციელებს. მიუხედავად ამისა, ბელარუსმა ჩვენი მოთხოვნა არ გაითვალისწინა. ჩვენი წესების ძალაში შესვლისთანავე ტვირთბრუნვა შეწყდა. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი,"** - დასძენს მედვედევი.

რუსეთის პრეზიდენტი მეორე მიზეზად რუსულ ბაზარს ასახელებს: **"ჩვენი ბაზარი ძალიან დიდია. ჩვენც გვყავს მწარმოებლები, რომლებიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანნი არიან. ამ შემთხვევაში ჩვენ ბელარუსთან თბილ და მეგობრულ ურთიერთობებს არ ვითვალისწინებთ."**

რუსეთის პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ შექმნილი ვითარება ბელარუსსა და რუსეთს შორის კოოპერაციულ და აგრარულ ურთიერთობაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს. უფრო მეტიც, მეგობარი ქვეყნები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვისაც კოორდინირებულ მოქმედებებს გააგრძელებენ. **"ჩვენ, ბელარუსსა და ყაზახეთთან ერთად, სპეციალური საბაჟო კავშირი დავაარსეთ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაშიც ერთად შევალთ,"** - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი.

ბრიტანეთის პარლამენტის სპიკერი ვადაზე ადრე გადადგა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პარლამენტის თავმჯდომარეები პოსტს მხოლოდ შუა საუკუნეებში ტოვებდნენ. გარდა ამისა, მათ წასვლას ბევრად უფრო სასტიკი მეთოდებით "აიძულებდნენ" - XIV საუკუნეში შვიდ მათგანს თავი მოკვეთეს.

მაიკლ მარტინი გლაზგოს ოლქის დეპუტატის პოსტს უკვე 30 წელია, იკავებს. გარდა ამისა, ლეიბორისტული პარტიის მიერ სპიკერის პოსტზე არჩევის შემდეგ მან თავის პარტიულ კუთვნილებაზე, კანონის მიხედვით, უარი თქვა, რათა საპარლამენტო დისკუსიების ორგანიზებაში მიუკერძოებელი ყოფილიყო.

თუმცა, მისი მიუკერძოებლობა არაერთხელ დამდგარდა ეჭვქვეშ. მისთვის ბევრჯერ დაუდიათ ბრალი ლეიბორისტული პარტიის მხარდაჭერასა და მისთვის უპირატესობის მინიჭებაში.

მარტინის სახელს სპიკერის ინსტიტუტის რეფორმირებაც უკავშირდება. 2000 წელს თანამდებობაზე არჩევის შემდეგ მისი პირველი ნაბიჯი პრესკონფერენციის მოწვევა იყო. ამის გამო ის დაუყოვნებლივ დაადანაშაულეს გაუხმაურებელი შეთანხმებების, კონკრეტულად კი, იმ შეთანხმების დარღვევაში, რაც პრესისგან თავის შორს დაჭერას ითვალისწინებს.

AFP ' 2009

მაიკლ მარტინი

ამავდროულად, მან პირველმა შემოიღო მთელი ქვედა პალატის პიარ-მრჩეველის ინსტიტუტი და თავისი ქმედება იმით ახსნა, რომ თემთა პალატას დედოფლისა და ლორდთა პალატის წინაშე სწორედ სპიკერი წარმოადგენს.

მარტინმა კორექტივები შეიტანა ბევრ ისეთ ტრადიციაში, რომლებსაც მოძველებულებად მიიჩნევდა, მათ შორის - პალატის წევრთა ჩაცმულობაშიც. გარდა ამისა, თავისი წინამორბედის, ბარონესა ბეტი ბუტროიდის მსგავსად, მარტინმა პარლამენტის სხდომებზე პარიკის ტარებაზე უარი განაცხადა.

ერთ-ერთი ბოლო საქმე, რომელიც მარტინმა სპიკერის პოსტზე ყოფნისას გააკეთა, ხარჯების ანაზღაურების სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებების გახმაურებაა. მარტინმა დეპუტატებს განუცხადა, რომ ამიერიდან ისინი ვეღარ შეძლებენ ხაზინიდან აინაზღაურონ რაიმე სახის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ პარლამენტში საქმიანობასთან არ ეხება.

მიმდინარე კვირას მაიკლ მარტინი პარლამენტის თემთა პალატაში გამოსამშვიდობებელი სიტყვით გამოვიდა, რომელიც 15 ფურცელზე ეწერა და ისევ ხარჯებს ეხებოდა. სპიკერმა ბრიტანელების წინაშე კიდევ ერთხელ მოიხადა ბოდიში იმ სკანდალისთვის, რომელმაც თითქმის ორი თვის გამავლობაში დეპუტატების ნორმალური მუშაობა შეუძლებელი გახადა. თუმცა, ამავდროულად პარტიის ლიდერებს მოუწოდა, მათაც აიღონ პასუხისმგებლობა და აღიარონ თავიანთი დანაშაული იმაში, რომ რეფორმა, რომლის აუცილებლობაც ჯერ კიდევ გასულ წელს გახდა ნათელი, არ განხორციელდა.

"სკანდალმა სრულიად დამსახურებულად შეარყია ამომრჩევლების რწმენა ჩვენდამი. თემთა პალატაში ჩემი მუშაობის 30 წლის მანძილზე მსგავსი არაფერი მომხდარა. ნება მომეცით, ქვეყნის ყველა მცხოვრებს კიდევ ერთხელ ვუთხრა - ძალიან ვწუხვარ, ეს რომ მოხდა," - განაცხადა სპიკერმა.

საპარლამენტო პარტიების ლიდერებმა, თავად მარტინის კრიტიკოსებმაც კი აღიარეს მისი დამსახურებები, მადლობა გადაუხადეს ყველაფერისთვის, რაც მან თემთა პალატისთვის გააკეთა და სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ ვეღარ გაიგონებენ მხოლოდ მარტინისთვის დამახასიათებელი მანერით ნათქვამ "o-order"-ს, რომლითაც ის პარლამენტარებს წესრიგისკენ მოუწოდებდა.

ახალი რეფერენდუმი ირლანდიაში

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ბრაიან კოუენი აცხადებს, რომ ლისაბონის შეთანხმების შესახებ განმეორებითი რეფერენდუმი მის ქვეყანაში ოქტომბრის დასაწყისში ჩატარდება.

თუმცა, ვიდრე ახალი რეფერენდუმის შესახებ თანხმობას განაცხადებდა, პრემიერმა საკანონმდებლო გარანტიები მიიღო, რომ ევროკავშირის რეფორმის შესახებ ახალი დოკუმენტი მისი ქვეყნის სუვერენიტეტს არ შეზღუდავს.

ახლა უკვე აღარაფერი უშლის ხელს ირლანდიაში განმეორებით კენჭისყრას ლისაბონის შეთანხმებისთვის, რომელიც ორგანიზაციის წევრი 27 ქვეყნის უფრო ეფექტიან თანამშრომლობასა და მასში ახალი წევრების შესაძლო გაერთიანებას ითვალისწინებს.

პრემიერ-მინისტრმა კოუენმა მიიღო ის, რის მიღწევასაც ცდილობდა - პროტოკოლი ას პროცენტიანი გარანტიით, რომ ახალი დოკუმენტი არ აისახება ირლანდიის ეროვნულ კანონმდებლობაში გადასახადების, აბორტების და სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხებზე.

AFP ' 2009

ბრაიან კოუენი

ბრიტანეთი დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ირლანდიის პოზიცია მთელი დოკუმენტის გადახედვის მიზეზი არ გახდებოდა. თუმცა ეს მაინც მოხდა და ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ იმედს გამოთქვამს, რომ ირლანდიელები ახლა უკვე ნამდვილად დაუჭერენ მხარს დოკუმენტის გაფორმებას.

"პროტოკოლი მხოლოდ განმარტავს და არანაირად არ ცვლის ლისაბონის შეთანხმების შინაარსს, - განაცხადა ბაროზუმ, - **საკანონმდებლო თვალსაზრისით, დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, რათა ჩვენი ირლანდიელი მეგობრებისთვის გარანტიები ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის მიერ დოკუმენტის რატიფიკაციის ხელახალი პროცესის დაწყების გარეშე მიგვეცა."**

ევროკავშირის ლიდერები ასევე დაეთანხმნენ ფინანსური სექტორის სახელმწიფო რეგულირების გამკაცრებას, რათა ხელი შეუშალონ საბანკო კრიზისის განმეორებას, რომელმაც ბოლო პერიოდის უდიდესი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია.

თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი დარწმუნდა, რომ ახალი ცენტრალიზებული ევროპული ფინანსური ინსპექცია ამ სფეროში ნაციონალური პოლიტიკის გატარებას არ შეზღუდავს.

ჩვენს ქვეყანაზე თავდატეხილ კრიზისთა უმეტესობა იმ პრობლემების შედეგია, რომელთა მიზეზიც საზღვარგარეთული საბანკო ოპერაციები გახდა, ამიტომ ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება საერთაშორისო ფინანსური კონტროლის ბერკეტები და ეს შეთანხმებაც სწორედ მათ შექმნას ითვალისწინებს," - განაცხადა ბრაუნმა.

თუმცა, საბოლოო ჯამში, კონკრეტული ბანკის ან კომპანიის მოქმედებაზე კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლება აგებს პასუხს," - მკაფიოდ აღნიშნა მან.

კირკუკში ტერაქტმა 72 ადამიანი იმსხვერპლა

ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით, შაბათს, ირანის ქალაქ კირკუკის მახლობლად მომხდარ ტერაქტს 72 ადამიანი ემსხვერპლა, დაახლოებით 200 კი - დაიჭრა.

ერაყის ხელისუფლების ინფორმაციით, დაღუპულთა რიცხვი კვირას დილით 62-ს არ აჭარბებდა, თუმცა მოგვიანებით მაშველებმა აფეთქების შედეგად ჩამონგრეული შენობების ნანგრევებში კიდევ 10 ადამიანის ცხედარი იპოვეს.

"ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული სატვირთო მანქანა ჩემს სახლთან იდგა და დაზარალებულთა უმეტესობა სწორედ ამან იმსხვერპლა. დაღუპულთა შორის უმეტესობა ქალები და ბავშვები არიან," - აღნიშნა სააგენტო "ასოშეიტედ პრესთან" საუბრისას ადგილობრივმა მცხოვრებმა ისჰან მუშირ შიკურმა. მისი ორი ნათესავი დაიღუპა, ცოლი და და კი მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი.

ასაფეთქებელი მოწყობილობა კირკუკის მახლობლად, შიიტური მეჩეთის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო დამონტაჟებული. აფეთქების შედეგად აღნიშნულ ტერიტორიაზე, დაახლოებით, 50 სახლი დაინგრა.

"მეჩეთის მახლობლად აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ მცველები, ჩვენ ხომ მტრების გარემოცვაში ვცხოვრობთ," - განაცხადა ერთ-ერთმა დაზარალებულმა ელმან ზაინ-აბიდენმა.

კირკუკი ირანის ჩრდილოეთით მდებარეობს და ნავთობმრეწველობის ცენტრია. ქალაქის სამხრეთ ნაწილში ტერორისტმა მსგავსი ტერაქტი მაისის მიწურულსაც მოაწყო, რის შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა.

CMYK - 8

"მეგობარი" სნესბარი

გახსენი!

თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის" ფილიალებიდან - უფასო

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

CMYK - 8

რევიუ

ეროვნული მუსიკალური ცენტრი - ავანსცენაზე

მაგთისთან ერთად, მაგრამ ივანიშვილის ფონდის გარეშე

სოფო კილასონია

დღეს განსაკუთრებულ უფლებას ვიტოვებ, ვიყო პირდაპირი და ზედმეტობების გარეშე მარტივად გითხრათ, რომ 19 ივნისის საღამო ოპერისა და ბალეტის თეატრში, გახლდათ ძალიან მცირეთაგან ის ერთ-ერთი საუკეთესო 2009 წელს. ამ ჩემს ერთი შეხედვით სუბიექტივიზმში ვარ აბსოლუტურად თავდაჯერებული, რადგანაც ოპერისა და ბალეტის თეატრის სავსე დარბაზის აზრი და დამოკიდებულება ჩემსას სრულიად ემთხვევა. საქმე მხოლოდ გია ყანჩელის მუსიკაში არაა, თუმცაღა მსმენელზე უპირველისი შთაბეჭდილება სწორედ მან მოახდინა, სიმპატიისა და კმაყოფილების მიზეზი ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ გამართული კონცერტის შესრულების ხარისხია, რამაც მსმენელში იშვიათად სასიამოვნო განწყობა, სასიამოვნო განცდები შექმნა.

გია ყანჩელის საავტორო მუსიკის საღამო ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ნიკა მემანიშვილის ინიციატივით განხორციელდა. კონცერტამდე ბოლო ერთი კვირა მან და მისმა მუსიკოს-შემსრულებლებმა ბატონ გიასთან ერთად იმუშავეს. შესაბამისად ორკესტრის, გუნდისა და დირიჟორის მიერ გამართული კონცერტის დახვეწილობა და ლამის უნაკლო შესრულება ავტორს არ უნდა გაკვირვებოდა, მაგრამ მაინც, არასდროს გვინახავს ყანჩელი ისეთი კმაყოფილი და აღფრთოვანებული, როგორც პარასკევის კონცერტის დროსა და მისი დასრულების შემდეგ. არც დაუმალავს, მადლიერების გამომხატველი ტექსტები კომპოზიტორმა სცენაზე ხმამაღლა უთხრა როგორც ახალგაზრდა კოლეგასა და დირიჟორს, ნიკა მემანიშვილს, ისე მთელს შემოქმედებით ჯგუფს და სხვათაშორის მსმენელსაც კი, განსაკუთრებული მოსმენისთვის. ასეც იყო, ყანჩელისეული მუსიკალური დუმილის, პაუზების დროს დარბაზში განაბული მსმენელის სუნთქვა ისმოდა. სხვაგვარად წარმოუდგენელიც კი იყო, იმდენად შეკრული ჰყავდა მემანიშვილს სცენაზე ყველა - გუნდი, ორკესტრი, სოლისტი - როგორც ერთი ორგანიზმი. იმდენად ძლიერი ემოციური მუხტის მატარებელი იყო მათ მიერ ახმიანებული ყოველი ბგერა და ყოველი პაუზაც კი.

სტიქსი ალბათ ის ნაწარმოებია, რომლის მიმართაც ყანჩელის ოპონენტებიც კი ვერ დარჩებოდნენ გულგრილნი და უემოციონი. სტიქსი რეკვიამია, რომელიც ერთდროულად ეხმიანება როგორც ავტორის პირად სამყაროს, მოგონებებს, ნოსტალგიას, მონატრებას, ისე ალბათ ზოგადად ბოლო ათწლეულების ადამიანურ სულიერ ტკივილებს, გარდატეხებს. და მაინც, ეს ნაწარმოები რაღაც დიდსა და უცვლელ სილამაზეზეა დაშენებული. სტიქსით მემანიშვილმა და მისმა მუსიკოსებმა, განსაკუთრებით კი ალბათ სტუმარმა სოლისტმა, მაქსიმ რისანოვმა მსმენელის მოჯადოება დაასრულეს. მაგრამ დაიწყეს სხვა ორი ნაწარმოებით. საგუნდო თხზულებით იავნანა მზეს და ვალს ბოსტონით - ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისთვის. ფორტეპიანოს პარტია მემანიშვილმა შეასრულა და შეასრულა უნაკლოდ. მაგრამ მსმენელს ეს არ გაკვირვებია... უბრალოდ აპლოდისმენტებით უხვად დააჯილდოვეს. საღამოს შემდეგ კი ღიმილით აღნიშნავდნენ რომ ნიკა, როგორც დირიჟორი ძალიან გაზრდილი და კიდევ უფრო დახვეწილი აღმოაჩინეს.

ჩვენთან საუბარი მან ეროვნული მუსიკალური ცენტრის წარმატებებით გაანაგრძო. გასაგებიცაა რატომ, ნიკა მემანიშვილი ამ ინსტიტუციასთან სრულ იდენტიფიკაციას განიცდის. რა არ ითქვა ჩვენს მიერ გასულ სტატიაში? ალბათ ის, რომ ცენტრში წელს გაერთიანებული ეროვნული კამერული ორკესტრი ლიანა ისაკაძესთან ერთად პარიზში გახლდათ გასტროლზე. მემანიშვილს ახარებს ის, რომ ლიანა ისაკაძე მათი მეგობარია და წინ სერიოზული საერთო გეგმები აქვთ. პარიზში გასტროლზე გახლდათ ცენტრის ევ.მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრიც. ამ შემთხვევაში ელისო ბოლქვაძის ორგანიზებით, მათ ფრანგ დირიჟორთან, ლორან პეწიჟერართან ერთად კონცერტი ცნობილ ინვალიდთა სასახლეში გამართეს. გასტროლებმა კარგი პრესა და გამოხმაურება მოუტანა ცენტრს, პარიზული მუსიკალური საზოგადოებისა და კრიტიკის კარგი შეფასება. სულ მალე კამერული ორკესტრი ფრანკფურტში ნავა გასტროლზე და წინ კიდევ რამდენიმე გასვლაა გეგმაში...

- ძალიან სავსე და შრომატევადი წელიწადი გვქონდა. დამღლელიც კი, მაგრამ ანშლაგები ჩვენს დარბაზში, საზოგადოების განწყობა, შემობრუნება მუსიკალური საზოგადოებისა ჩვენსკენ - ეს ყველაფერი იმდენად საგრძნობი გახლდათ, რომ ამან გაგვაძლებინა და ალბათ შემდგომ სირთულეებსაც გადაგვატანინებს, მაგრამ აქვე უნდა დავძინო, ეს ყველაფერი ხდება იმის პარალელურად, რომ ანაზღაურების თვალსაზრისით საქართველოში ჩვენი ორკესტრის და გუნდის წევრები იღებენ სამჯერ ნაკლებ ხელფასს ვიდრე ჩვენი კოლეგა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- გამოდის, რომ პრობლემები, რომელზეც შარშან ვსაუბრობდით ვერ მოგვარდა

- სამწუხაროდ ჩვენ წლიური დაფინანსება არ მოგვმატებია, რაც იყო გასულ წელს დარჩა იგივე. ეს არის 900 000 ლარი, რომელიც ნაწილდება ორკესტრზე, რომელშიც შედის 90-მდე მუსიკოსი თავისი მცირე ადმინისტრაციული რგოლით, საგუნდო კაპელა, რომელშიც შედის 60-მდე მომღერალი თავისი მენეჯმენტით, ეს ნაწილდება სიმებიან კვარტეტზე, რომელიც ჩვენ გერმანიიდან დავაბრუნეთ და ცხადია, მათ სიმბოლურ ხელფასს ვერ დავუნიშნავდით, ეს ხმარდება კამერულ ორკესტრს, ამ თანხაში შედის ადმინისტრაციული და ტექნიკური ჯგუფის ხელფასები, ასევე კომუნალური გადასახადები, რომლებიც გაძვირდა და ურთულეს პირობებში ვართ და წესით ეს უნდა ხმარდებოდეს ჩვენი საკონცერტო მოღვაწეობის ორგანიზებას. მაგრამ აუგს ჩვენს სახელმწიფოსა და კულტურის სამინისტროზე ვერ ვიტყვი, რადგან მათ წელს მოახერხეს ჩვენი დახმარება იმ პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია გასტროლებთან. ანუ ჩვენს მიერ სამინისტროში შეტანილი დამოუკიდებელი პროექტები დაფინანსდა. პირველად ვიგრძენი რომ ამ სფეროში არის ძალიან დაინტერესებული ადამიანი, ახალი მინისტრის სახით, ვისაც უნდა რომ ქართული შემოქმედება გასცდეს საქართველოს საზღვრებს. ნიკოლოზ რურუა ყველანაირად მხარში ამოგვიდგა. ჩვენს სფეროში ტემპებსაც აქვს მნიშვნელობა და სამინისტროსგან დახმარება იყო მაქსიმალურად ოპერატიული.

მაგრამ წელს კიდევ ერთი სიხარული გვქონდა და ეს სიხარული დაკავშირებულია კომპანიასთან მაგთი . მაგთი გახდა 2009 წლის ჩვენი გენერალური პარტნიორი. მაგთიმ დაგვინიშნა დახმარება - ყოველთვიურად გარკვეულ თანხას გვირიცხავს და ფაქტობრივად სწორედ ამ თანხით შევძელით ეროვნული კამერული ორკესტრის ფინანსური უზრუნველყოფა. ჩვენ მაგთის დახმარება სახელფასო ბიუჯეტში გადავრიცხეთ, ანუ გავზარდეთ ხელფასები. რა თქმა უნდა, ჩემი ოცნებაა, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს ხელფასები, და თუ ეს მოხდება და ამავდროულად მაგთისთან თანამშრომლობა გაგრძელდება მომავალ წელსაც, მის მიერ გამოყოფილი თანხებით რეალური იქნება რომ შევძლოთ პროექტების ორგანიზება. გაჩნდება საშუალება PR-ისთვის, გავწვდებით სატელევიზიო რეკლამას, მოწვეული სოლისტის ჰონორარით უზრუნველყოფას და ა.შ.

წელს დაგვეხმარა თიბისი ბანკიც, მაგრამ მის მიერ გადმორიცხული თანხაც ხელფასებში გადავისროლეთ. მაგრამ მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფო შეგვინახავს ხელფასების თვალსაზრისით და ყველა სხვა დანარჩენი მოზიდული სახსრები ჩვენს განვითარებას მოხმარდება, თუნდაც ახალი ინსტრუმენტების შეძენას. რემონტზე საუბარიც ზედმეტია...

- თქვენ ის ერთადერთი ინსტიტუცია ხართ, რომელსაც იმედიც კი არ აქვს შენობის რემონტისა. რატომ?

- იმიტომ, რომ ჩვენ ის ერთადერთი ორგანიზაცია ვართ სახელოვნებო სფეროში ვის მიმართაც არანაირ ინტერესს არ იჩენს ბიძინა ივანიშვილი და მისი ფონდი ქართუ . ჩემს გარშემო ყველა სახელმწიფო შემოქმედებითი ორგანიზაცია მისი ფონდით ფინანსედება. ფონდი არა მხოლოდ რემონტით უზრუნველყოფს, არამედ სახელფასო დანამატებითაც. **ჩვენ არაერთხელ შევიტანეთ წერილი ფონდში და არაერთხელ მივიღეთ უარი, უარი ფონდის მხრიდან საბუთდება იმით, რომ არ არის ამისთვის საკმარისი სახსრები, რომ უკვე დაფინანსებულთა ნუსხა აღარ უნდა გაიზარდოს, თუმცა მე არ მგონია რომ კიდევ ერთი ორგანიზაციის დამატება განსაკუთრებულ ფინანსურ ცვლილებებს გამოიწვევდა ამ ფონდში. მე არ მაქვს ახსნა, არანაირი ურთიერთობა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან მე არ გამაჩნია, მით უფრო უსიამოვნება. ძალიან განვიცდი, რომ ჩვენ ის არ გვეხმარება, დარწმუნებული ვარ, რომ იცოდეს ჩვენი მოღვაწეობის შესახებ, მას რომ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს, თუ რამდენს ვაკეთებთ და ამასთან შეფარდებით რა ფინანსური საშუალებები გვაქვს, თუ როგორი დარბაზი გვაქვს, როგორი აკუსტიკა, რას ამბობენ ამ დარბაზზე უცხოეთიდან ჩამოსული თუ საქართველოში მოღვაწე მუსიკოსები, ის ნამდვილად გამოიჩენდა მისთვის ჩვეულ სულგრძელობას და შეგვიკედლებდა მის ფრთებქვეშ. მაგრამ ალბათ მას არ აქვს დრო, ასე დეტალურად გაეცნოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს...** შესაბამისად ჩვენი ასეთი დიდი შრომა მისი ყურადღების მიღმა რჩება, მაგრამ საბედნიეროდ ეს არ რჩება ქართველი მსმენელის ყურადღების გარეშე და ეს არის მთავარი სტიმული რითიც ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ.

- ორი მუსიკალური ცენტრი თანაც ერთმანეთის გვერდით. იშვიათად, მაგრამ მაინც თბილისში ქილიკობენ ამის შესახებ...

- ამ თემაზე მაქვს ერთი კონკრეტული პასუხი. რითი უნდა განასხვავოს მაყურებელმა რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრები? განსხვავება არის არტისტებში, რეჟისორებში, სპექტაკლების ხედვასა და სტილში. ასეა აქაც. ის ცენტრი არის ჩემი უსაყვარლესი დირიჟორის და უძვირფასესი უფროსი მეგობრის - ჯანსუღ კახიძის სახელობის, მისი შვილი ვახტანგი არის მისი ხელმძღვანელი და იქ სხვა მუსიკოსები არიან. აქ მე ვარ ხელმძღვანელი და ეს არის ევგენი მიქელაძის სახელობის და სულ სხვა მუსიკოსები გვყავს. აქ სხვა ტიპის პროექტებია, სხვა პოლიტიკა, რომლის შესახებაც ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ ამ და წინა სტატიისთვის (**ს.კ**. იგ.19 ივნისის 24 საათში დაბეჭდილი ინტერვიუ ნიკა მემანიშვილთან). აქ სეზონი აწყობილია ჩემი კონცეფციის თანახმად. ეს ჩემი ხედვაა და სწორედ ეს უნდა იყოს ის, რითიც გამოირჩევა ჩვენი ცენტრი - ეროვნული მუსიკალური ცენტრი თბილისის მუსიკალური ცენტრისგან. მე დარწმუნებული ვარ რომ ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი მალე გაიხსნება და მათაც ექნებათ თავისი პროექტები, რომლებიც ვერანაირად ვერ იქნება ზუსტი ადეკვატი ჩვენი პროექტებისა. შესაბამისად ქართველ მსმენელს საშუალება ექნება კიდევ უფრო ინტენსიური მუსიკალური სეზონი ჰქონდეს. **ჩვენ თუ იქამდე მივალთ, რომ დავემსგავსოთ ვენას, ამსტერდამს, ბერლინს, ფრანკფურტს, რომს... იმით მაინც, რომ დღე გამოშვებით ვატარებდეთ კარგ კონცერტებს, ეს მხოლოდ იმოქმედებს იმ გზის სასიკეთოდ, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ სტრატეგიად აირჩია და ეს გზა არის სვლა ევროპისაკენ.**

რაში შეიძლება გამოიხატოს ჩვენი ევროპულობა? ჩვენი ევროპულობა გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ იმაში რომ ჩვენი ტრადიციები უნდა გამყარდეს ევროპული ხელოვნების ხარისხით ჩვენს ქვეყანაში. ქართული ხელოვნების და ევროპული ხელოვნების საშემსრულებლო ხარისხები იყოს იდენტური. ანუ როგორც ვმღერით ქართულ ფოლკლორს, ამავე დონეზე ვუკრავდეთ მოცარტს. მხოლოდ ეს იქნება გასაღები, რომლითაც გავაღებთ ევროპის კარს. ევროპა უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ მათ ენაზე შეგვიძლია მაღალხარისხოვნად მეტყველება. მათი ენა კი არის კლასიკური მუსიკა. ამიტომაც ჩემთვის ამ ორი ცენტრის არსებობა არის ძალიან კარგი თუნდაც კონკურენციის თავლსაზრისით, თუკი ეს ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში დარჩება.

ერთადერთი რაც ძალიან უცნაურია, მოხდა ისე რომ ეს ორი ცენტრი ფიზიკურად გევრდიგვერდ არის და ამის გამო არის საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ნიჰილისტური დამოკიდებულება, - უნდა იყოს თუ არა ორი მუსიკალური ცენტრი ერთ ქვეყანაში. ორი კი არა, ბევრად მეტი უნდა იყოს, ქვეყნისთვის აჯობებს ბევრი საკონცერტო სივრცე გაჩნდეს, ვიდრე მეტი ღამის კლუბები და რესტორანი. ამ შემთხვევაშიც მახსენდება ჩემი საყვარელი ქალაქი ვენა, სადაც კონცერტჰაუზი და მუზიკფერაინი არის ერთი ქუჩის აქეთ და იქით. საერთოდაც pr-თანამშრომლობა ჩემთვის ძალიან მისაღები ფორმაა. როგორც უცხოეთში, - ერთ დარბაზში მიდიხარ და სხვა დარბაზების პროგრამას ეცნობი. სიამოვნებით შევთავაზებდი კახიძის სახელობუს ცენტრს რომ ჩვენთან ხდებოდეს მათი პროექტების დაანონსება და მათ ჩვენი პროგრამა გაავრცელონ.

- გჯერათ ასეთი ჯანმრთელი კონკურენციის შესაძლებლობისა?

- მე მზად ვარ ამ სიჯანმრთელისთვის. თუ ვიგრძნობ რომ სხვა მხრიდანაც იგივე ნაბიჯები იდგმება, მზად ვარ ყველანაირად ამას ადეკვატურად მივუდგე. ეჭვი არ მეპარება რომ ასეთი ურთიერთობების შანსი ზოგადად არსებობს.

■■■

ზოგადად ნამდვილად არსებობს, ეს იმის მიუხედავად, რომ ჯანმრთელი კონკურენცია საქართველოში იშვიათი რამაა, და თუ დავკონკრეტდებით ამ ორ მუსიკალურ ცენტრზე და მეორე ცენტრის ხელმძღვანელის, ვახტანგ კახიძის მემანიშვილისადმი დამოკიდებულეზე, ჩვენი რესპოდენტის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელი კონკურენციის გეგმა ნამდვილად რთული წარმოსადგენია. მემანიშვილი იხსენებს ასევე 2009 წლის კიდევ ერთ დღეს - მიშელ ლეგრანის საავტორო კონცერტს. მსმენელის შეფასება არ იყო ერთგვაროვანი. თუმცა, ეს კონცერტი და კონკრეტულად დირიჟორი ნიკა მემანიშვილი ხმამაღლა მხოლოდ ერთმა ადამიანმა გააკრიტიკა. ეს ადამიანი არა მუსიკადმცოდნე, ანდა დისტანციაზე მყოფი სპეციალისტი, არამედ მისი კოლეგა, თანამშრომელი და კონკურენტული (ჯანმრთელი გაგებით) ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ კახიძე გახლდათ. ბატონმა ვახტანგმა არაერთ გაზეთსა და მედიაში ნიკა მემანიშვილი ნეგატიურად შეაფასა და მოიხსენია. ამ შეფასებათა მართებულობა და რაც მთავარია, ეთიკურობის საკითხი სახელოვნებო წრეებში საუბრის თემა ნამდვილად გახდა. ამ თემაზე კომენტარებისგან მემანიშვილი თავს იკავებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ის კონცერტი არ იყო ცენტრისთვის ყველაზე წარმატებული და რომ ხარვეზები ნამდვილად ჰქონდათ, ათასი ობიექტური მიზეზის გამო, მიზეზებისა, რომლებიც მისივე თქმით, კოლეგას ყველაზე უკეთ უნდა გაეგო... მიდასტურებს რომ კოლეგისგან ეს ყველაფერი ძალიან მტკივნეული იყო .

მაგრამ ეს იყო მაშინ, ამ ამბიდან მემანიშვილის ოთახში ორი რამ შემორჩა. ერთ-ერთი ჟურნალის ინტერვიუ ვახტანგ კახიძესთან და მიშელ ლეგრანის საჩუქარი ნიკასთვის, - დისკი, რომელსაც ფრანგულად აწერია, დიდი სიყვარულით უნიჭიერეს ახალგაზრდა მუსიკოსსა და დირიჟორს, მომავალი თანამშრომლობის იმედით. მ.ლეგრანი .

კონკურენცია რთულია, მაგრამ საინტერესო. ხარვეზები არ ჰქონია 19 ივნისის კონცერტს და ვარაუდობენ რომ ხარისხი, რომელსაც მემანიშვილმა და მისმა ცენტრმა მიაღწია არაერთი წარმატებული საღამოსა და ფესტივალის გარანტი იქნება. ამას ვარაუდობს მსმენელი და სწორედ მსმენელია ის, ვინც საბოლოოდ აკეთებს არჩევანს და გააკეთებს მაშინაც, როცა აღმაშენებლის გამზირზე ორი მუსიკალური ცენტრი პარალელურ რეჟიმში ამოქმედდება. უნდა ვიქონიოთ იმის იმედიც, რომ ამ დროს პროფესიონალი კრიტიკოსების ადგილი აღარ იქნება ვაკანტური და მათ ფუნქციებს თუნდაც ძალიან კარგი მუსიკოსები აღარ შეითავსებენ.

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲖᲐᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

1. გურამ მეგრელიშვილი, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, **თამაში რევოლვერით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქვანავა, **დაუმთავრებელი ამბავი** (დიოგენე)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრდიდობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **წიგნი** (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, **სუნთქვა ხუთვისას** (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მწერლობა)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

1. ლაშა ბუღაძე, **კარიკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოლენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაიდუმლის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩიხლაძე, **ფემინინე** (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, **ბრეიგელის მთვარე** (პეგასი)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲔᲡᲐ

1. ლაშა ბუღაძე, **ნაფტალინი** (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ჟურნ. "ჭოროხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘ

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთვისებო კაცი"** (დიოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის **"ძაღლი, ძაღლი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედევრები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"** (არეტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის **"თხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურღაია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სევდიანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახაძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დიოგენე)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲔᲡᲡᲔᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ

1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიალონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკილაშვილი, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჟანიძე, **მუჰამედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

1. დიანა ანფიმიადი, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კავლელი, **ინდოჩინეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდები** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ღობე** (საარი)

ᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ

ᲖᲐᲖᲐ ᲗᲕᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲖᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲨᲘ

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ზოგადად ასეა: მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული მისი შემოქმედება კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს მკითხველში, მით უფრო, როცა ეს მწერალი უდროოდაა წასული.

ზაზა თვარაძის არქივში, რომელზეც მისი მეუღლე, მანანა ჯიქია ზრუნავს, უამრავი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, ადრეული თუ ბოლოდროინდელი ლექსი და ძალიან ბევრი ესსეა დარჩენილი, ასევე რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ჩანაწერები.

მკითხველისთვის ზაზა თვარაძე ცნობილია პოეტური კრებულებით "ტან-ცეზი სიცივეში", Tyronosaurus Rex, მოთხრობების კრებულით - "მოხეტიალე" და მცირე რომანით "სიტყვები", რომელიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ყველა დროის საუკეთესო მცირე ქართული რომანის სერიაში შეიტანა.

ბოლო დროს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა ზაზა თვარაძის ორი ახალი წიგნი, მოთხრობების კრებული - თავვადასავალი" და საბავშვო ზღაპარი - მონტეებულსუ, ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა."

■■■

მონტებულსუ რა არის?" ეკითხება ელი მამას, რომელმაც ბუს ფორმის თილისმა, სახელად მონტებულსუ აჩუქა. მამა პასუხობს, რაღაცით ფარნით ნათებას უკავშირდება და ანთებულს თუ მონთებულს ნიშნავსო.

ეს ზღაპარი ზაზა თვარაძემ 90-იან წლებში დიოგენეს" მიერ გამოცხადებული

კონკურსისათვის დაწერა.

ეს კონკურსი რომ გამოცხადდა, - იხსენებს მწერლის მეუღლე მანანა ჯიქია, - მაშინ ცოლ-ქმარი არ ვიყავით. ვუთხარი, იქნებ ბედი გეცადა, დაწერე ზღაპარი-მეთქი. არასდროს დამიწერიაო, გაუკვირდა, მაგრამ დაჯდა სამზარეულოში და იქვე დაწერა 3 გვერდი. მე ალვფრთოვანდი და წავაქეზე. 10 დღეში დაწერა. ყოველდღე წერდა...

მაშინ მონტებულსუ"-ს გამომცემლობაში მიტანა ზაზამ დააგვიანა, (საერთოდ დაგვიანება მისი ცხოვრების განუყრელი ნიშანი იყო), ეჭვი მქონდა, ჟიურის წევრებმა აღარც წაიკითხეს, ასე თუ ისე, ზღაპარი კონკურსის გარეთ დარჩა, ზაზა დროდადრო კიდევ უბრუნდებოდა ამ ზღაპარს და მასში დამატებები შეჰქონდა. გარდაცვალების შემდეგ კი, როცა არქივი გაიხსნა, კომპიუტერში რამდენიმე ახალი ეპიზოდი ვიპოვე და კიდეც შევიდა გამოცემაში.

შვილიშვილი მყავდა ბაკურიანში და უცნაური რაღაც შემემთხვა: კოხტადან ეშვებოდა, ვუყურებდი და უცებ ვიგრძენი, რომ ჰაერში ავიწიე, მაღალი ვარ. ამ დროს ზაზა მირეკავს მობილურზე და ვეუბნები, ავმაღლდი, ყველას ზევიდან დავყურებ-მეთქი. ამაზე ბევრი ვიცინეთ და მერეც ვიხსენებდით.

მერე თბილისში დამემართა შეგრძნება, რომ მინა ძალიან ახლოსაა, ვისაც არ უნდა დავტოლებოდი, ყველაზე დაბალი ვიყავი. ეს ამბავიც ზაზას მოვუყევი, ერთი კატა შემხვდა მარტო ჩემზე დაბალი-მეთქი. ამაზეც ბევრი იცინა

გარდაცვალების მერე კომპიუტერში ეს ეპიზოდები ვნახე, ზღაპარში ჩასამატებლად ჰქონდა გამზადებული.

ზაზა თვარაძე

ზაზას კიდევ დაუწერია ერთი ეპიზოდი, რომელიც დედამისს უკავშირდება: ერთხელ ზაზასთვის უთქვამს, დავიტანჯე, აღარ მინდა ადამიანობა, ნეტავ ხე ვიყო და ვშრიალებდეო. როცა დედა გარდაიცვალა, ზაზა თურმე ამ ნათქვამს ძალიან მტკივნეულად იხსენებდა. ეს ეპიზოდიც ჩავამატე.

ზღაპრის დასასრულისკენ არის ომი. ზაზას მისი შეცვლა უნდოდა. გეგმაც დაწერა, მაგრამ აღარ დაუმუშავებია, ამიტომ ეს ბრძოლა ძველი სახით დარჩა.

ზღაპარში ბევრი უცნაური სიტყვა და სახელია გამოყენებული, მაგრამ ყველა ეს სიტყვა რეალურია, ლექსიკონებიდან ამოღებული, იქ ეძებდა...

წიგნი ნინო ჩაკვეტაძემ დაასურათა. გარეკანზე კი მისი შექმნილი პერსონაჟები მწერლისავე დახატული პეიზაჟის ფონზე მოჩანან.

ზაზა თვარაძის პროზა თავისებურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მას სტილით თუ რაღაც მოუხელთებელი მდინარებით ყველასგან გამოარჩევ, გამოიცნობ, რომ ეს ზაზასია. მას გამოკვეთილი ინდივიდუალობა და თავისი სტილი აქვს.

მოთხრობების კრებულში თავგადასავალი" შესულია ჯერაც გამოუქვეყნებელი, და ერთი-ორი სხვადასხვა დროს პერიოდიკაში დაბეჭდილი მოთხრობა.

ზაზა თვარაძის პირველი მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალ "ცისკარში". მაშინ მის პროზას არავინ იცნობდა. ერთხელ ანდრო ბუაჩიძესთან ერთად ქუჩაში რომ მიდოდა, გიორგი ბაქანიძე შეხვედრიათ, რომელიც "ცისკრის" პასუხისმგებელი მდივანი იყო და ზაზასთვის შეუთავაზებია, შენი მოთხრობები მოიტანეო. ისე მოსწონებია ბაქანიძეს, უთქვამს, რაც კი გაქვს დაწერილი, ყველაფერი მოიტანეო და მიყოლებით ყველა ნომერში ბეჭდავდა.

მოთხრობა ღამურა" კი, რომელიც ამ კრებულშია შესული, 18 წლის ასაკში დაწერილი. როგორც ზაზას მოუყოლია მანანასთვის, მოთხრობა დაუმთავრებია გაგრაში, სადაც მამამისთან, რეზი თვარაძესთან ერთად ისვენებდა. აქვე ყოფილა რეზის მეგობარიც, თამაზ ჩხენკელი, რომელსაც ახალგაზრდა ბიჭისთვის უთხოვია, წამაკითხე რას წერო, და თურმე ისეაღფრთოვანდა, რომ მერეც იხსენებდა ხოლმე.

ეს მოთხრობა რომ მომიტანა და წავიკითხე, მაშინ არ მომეწონა, მანამდე რაც წამაკითხა, მათაგან განსხვავებით სულ სხვა ყაიდის მოთხრობა იყო და ეს ვერ გავიგე, რალაც პრეტენზიული და ბუნდოვანი მეჩვენა, განსაკუთრებით ბოლოსკენ. - ამბობს მანანა ჯიქია - ყველაფერი ვუთხარი, დადო და ამის შემდეგ მეც აღარ მახსოვდა. როცა გარდაიცვალა და არქივი დავახარისხე, შემხვდა ეს მოთხრობა, ვნახე ხელით ნაწერი 3 გვერდი, ჩანართები, და ის ნაკლი, ბუნდოვანება, რაც მაშინ ამ მოთხრობას ჰქონდა, გაუსწორებია. ასეთი შევიდა კრებულში.

მისი გარდაცვალების შემდეგ თამაზ ჩხენკელმა გაიხსენა, მაგას ერთი შესანიშნავი მოთხრობა ჰქონდა, ღამურაო". მაშინ არ მომეწონა-მეთქი რომ ვუთხარი, იცი რამდენი წლის იყო რომ დაწერაო? - გაიოცა - 18 წლის ბიჭის დაწერილია ეგ მოთხრობაო".

ზაზას მეუღლე ყვება, რომ ზაზა შედარებით პატარა მოთხრობაზე შეუსვენებლივ, ერთი ამოსუნთქვით მუშაობდა, ასევე შეუსვენებლად მუშაობდა შედარებით მოზრდილ მოთხრობებზეც რამდენიმე დღე, რაც დიდ ფიზიკურ ენერგიას ართმევდა. სრულიად გათანგული იყო წერტილის დასმის შემდეგ. ლექსებს ნაკლები ენერგია მიჰქონდა, ამიტომ ბოლო წლებში უფრო ლექსებს წერდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ "სიტყვებზეც" აქტიურად მუშაობდა.

ზაზა თვარაძეს ჩვევად ჰქონია, რითაც დაინტერესდებოდა, ბოლომდე უნდა შეესწავლა. ასე ისწავლა კომპიუტერი, პროგრამებიდან დაწყებული - შემადგენელი ნაწილების დონემდე.

ამაჟამად მანანა ჯიქია მუშაობს რომან სიტყვების" ახალ რედაქციაზე, რომელიც იმ ეპიზოდებით არის შესავსები, რომელთა ჩასმაც მწერალმა ვერ მოასწრო. სიტყვები" 1994 წელს დაიბეჭდა ჟურნალ ცისკრში". როცა ბაკურ სულაკაურმა გადაწყვიტა, მცირე ქართული რომანის სერიაში შეეტანა, ზაზამ უთხრა, ჩავასწორებო, მაგრამ ვიდრე დაამთავრებდა, წიგნი უკვე გამოიცა. მაშინ ბაკურ სულაკაურს უთქვამს, ნუ იდარდებ, როცა ჩასწორებულს მოიტანთ, კიდევ გამოვცეთო. ასე რომ, სულ მალე მკითხველი ზაზა თვარაძის სიტყვების" შევსებულ გამოცემას იხილავს.

მას მერე, რაც ყველაფერს გამოვაქვეყნებ, მინდა გამოვცე ტომები, სადაც გაერთიანებული იქნება ყველა მისი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოები და ესსეები, ხოლო ბოლო ტომში შევა მასთან ინტერვიუები, მასზე დაწერილი სტატიები, არქივი კი ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცემა"- გვითხრა მწერლის მეუღლემ.

ზაზა თვარაძეს თურმე უბის წიგნაკის ერთ-ერთ ჩანაწერში უწერია: ეტყობა იმიტომ ვწერ ამდენს, რომ გაქრობის მეშინიაო. ჩვენ კი, მის მკითხველებს უფრო მარტივად შეგვიძლია ვთქვათ: ზაზა თვარაძე იმიტომ წერდა, ჩვენამდე ის რეალობა მოეტანა, რომლის დანახვის გარეშეც ძალიან ღარიბები ვიქნებოდით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის N5) აცხადებს ტენდერის საშუალებით - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სამუზეუმო სივრცეთა რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

3. შესყიდვის ობიექტი წარმოდგენილია 4 ლოტად:

ლოტი N1

სვანეთი, დაბა მესტიაში მდებარე კოშკების რეაბილიტაცია.

ლოტი N2

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კარიბჭის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტერიტორიაზე არსებული ნაგებობის რეაბილიტაცია (ხელვაჩაურის რაიონი სოფ. გონიო).

ლოტი N3

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მუზეუმის შენობის გათბობის სისტემის მოწყობა.

ლოტი N4

ხობის ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაცია.

4. სამუშაოს მიწოდების წესი და ვადები:

- ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს პროექტით გათვალისწინებული მასალისა და სამშენებლო-სარესტავრაციო ტექნოლოგიების სრული დაცვით.

- გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების და ჩაბარების საბოლოო ვადაა:

ლოტი N1 - 2009 წლის 30 ნოემბერი
ლოტი N2 - 2009 წლის 30 სექტემბერი
ლოტი N3 - 2009 წლის 15 დეკემბერი
ლოტი N4 - 2009 წლის 30 ნოემბერი

- ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, სარესტავრაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

- შესრულებული სამუშაოს ანგარიში (შუალედური და საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება ოთხ ეგზემპლარად: კომპაქტური დისკების (CD 1EეგზD) სახით და მყარი ასლები - ალბომების სახით (3-3ეგზ.)

- სამუშაოს შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მონაწილეობით. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

5. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტზე სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემაA 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101502 ანგარიშის ნომერი: 901913700), განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 22 ივნისიდან 14 ივლისის 15 საათამდე მისამართზე: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მის. ქ. თბილისი, გამრეკელის N10, ბინა N60 (ყოფილი კუტუზოვის ქ.).

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (დახურული კონვერტით, სამ ეგზემპლარად - ერთი დედანის და ორი ქსეროასლის სახით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 13 ივლისის 11 საათიდან 14 ივლისის 15 საათამდე, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, ტენდერის დასახელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის N10, ბინა N60 (ყოფილი კუტუზოვის ქ.).

7. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 14 ივლისს 15 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N10, ბინა N60 (ყოფილი კუტუზოვის ქ.). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

8. Dდაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

9.1 იურიდიული პირთათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

ბ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

ე) ცნობას ბოლო ერთი წლის განმავლობაში არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარიანი ბრუნვის შესახებ.

9.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობას შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება (ი/მ შემთხვევაში).

გ) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

9.3 იურიდიული და ფიზიკური პირისათვის:

ა) პრეტედენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საბანკო რეკვიზიტებს ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

ბ) პრეტენდენტი უნდა იყოს ოფიციალურად რეგისტრირებული პირი (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში;

ე) ცნობა მომსახურე ბანკიდან დავალიანების არქონის შესახებ;

პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-9 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-9 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

11. დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია

- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, (ინფორმაცია პრეტენდენტის, ასევე ყველა მონაწილისა და შემსრულებელთა, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ) და მოწვეულ სპეციალისტთა სარეაბილიტაციო პროცესში (ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ანალოგიური სამუშაოებში) მონაწილეობის გამოცდილება და შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი;

- შესასრულებელი სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

- ხარჯთაღრიცხვა (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით);

- ხარისხის კონტროლის მექანიზმი;

- მენეჯმენტის გეგმა და სტრუქტურა.

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

12. სატენდერო განაცხადის წარმოდგენისთანავე, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო აპარატში. ტენდერში შეიძლება გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული ლოტების მიხედვით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის N10, ბინა N60 (ყოფილი კუტუზოვის ქ.). საკონტაქტო პირები: დავით გოგუაძე, პაატა დოლიძე, ტელ: 832 38 37 90.

განცხადება

შ.პ.ს."ბლექ სი გრუპი" 5 თვით იქირავებს:

1. 5 ერთეულ 6X4 ავტოთვითმცლელს, კუბატურა - 16
2. 5 ერთეულ 8X4 ავტოთვითმცლელს, კუბატურა - 20

მანქანების გამოშვების წელი: 2000 და ზემოთ.

მანქანები უნდა იყოს ტექნიკურად სრულად გამართული.

ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმის შესავსებად მოგვმართეთ:

საკონტაქტო პირი: ზვიად ბერუაშვილი 877-990-149

z.beruashvili@bsg.com.ge

ოფისი: ვ.ფშაველას გამზირი 71, მე-3 სართული

ტელ: 20-74-74/75 ფაქსი: 20-74-20

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა !
თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი,
თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2009 წლის 16 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში სამუშაოთა შესყიდვაზე **"კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სამუზეუმო სივრცეთა რეაბილიტაცია"** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

ლოტი N1

დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობის საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქცია (ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის N34) - შპს "არქიტექსი"

ლოტი N2

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კარიბჭის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტერიტორიაზე არსებული ნაგებობის რეაბილიტაცია (ხელვაჩაურის რაიონი სოფ. გონიო).

- გამარჯვებული არ გამოვლინდა

ლოტი N3

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია (ყვარლის რაიონი სოფ. ნეკრესი) - ი/მ ვალერიან ლომოური

2009 წლის 25 მაისს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2009 წლის 7აპრილს გამოცხადებულ ტენდერში სამუშაოთა შესყიდვაზე **"კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა რეაბილიტაცია"** გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებული:

ლოტი N1

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N5-ში მდებარე შენობის კონსტრუქციული გამაგრება და რეაბილიტაცია - სს "ჰიდროენერგომონტაჟი"

2009 წლის 22 მაისს ტენდერში გამარჯვებულთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ვაკანსიას:
ლაბორატორიის უფროსის თანამდებობაზე

სამუშაო ადგილი: სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია, შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპის" ასფალტო-ბეტონის ქარხანა

სამუშაო გრაფიკი: სრული

ხელფასი: 1500 ლარიდან

ლაბორატორიის უფროსის ზოგადი მოვალეობები:

წარმოება: საჩეჩქვში წარმოებული მასალების ხარისხიანობის შემოწმება

ასფალტ-ბეტონის დიზაინის შერჩევა

ასფალტო-ბეტონის ნარევის შემოწმება და დასკვნების გაცემა

ბეტონის დიზაინის შერჩევა სხვადასხვა ნაწარმის გამოსაშვებად (ბორდიური, ფილა, ბლოკი, შემკრები, რგოლი, რკინა-ბეტონის მილები)

წარმოებული პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა

მიღებული მასალების (ცემენტი, ბიტუმი) პარამეტრების დადგენა

მშენებლობა: ობიექტზე გრძივი და განივი პროფილების ქანობების გადამოწმება

კერნების ამოჭრა და ლაბორატორიული შემოწმება

გრუნტის ანალიზი

დაინტერესებულმა პირებმა გამოგზავნეთ სივი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
laboratoriabsg@gmail.com

ოფისი: 20-74-74, 20-74-75 ფაქსი: 20-74-20

შპს „საქართველოს ფოსტა“ აცხადებს ღია აუქციონს

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

№	გასაიჯარებელი ფართები	კვ.მ.	საწყისი საიჯარო ფასი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)	ბიჯი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)
1	ფილიალ ბოლნისის ფოსტის ადმინ.შენობა I სართ. (მის: ორბელიანის №142)	30	3	0,5
2	ფილიალ სენაკის ფოსტის ადმინ. შენობა . (მის: რუსთაველის ქ.№255)	20.9	5	0.5
3	ფილიალ „საერთაშორისო ფოსტამტის“ ავიო ფოსტის გაცვლის უბანი II სართ.	19	25	1

შპს „საქართველოს ფოსტა„ ფართების გაიჯარების მიზნით
განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს

№	გასაიჯარებელი ფართები	კვ.მ.	საწყისი საიჯარო ფასი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)	ბიჯი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)
1	ფილიალ სენაკის ფოსტის ადმინ. შენობა II სართული (მის: რუსთაველის ქ.№255)	13.1	6	0,5
2	ფილიალ სენაკის ფოსტის ადმინ. შენობა (მის: რუსთაველის ქ.№255)	119	5	0.5

ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- **პირადობის** დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდ.მეწარმე დამატებით წარმოადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტედენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- სავალდებულოა პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- ყოველთვიური საიჯარო თანხას გამარჯვებული პრეტედენტი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შპს „საქართველოს ფოსტის“ მითითებულ ანგარიშზე.
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 22 ივნისიდან 2009წლის 7 ივლისის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 7 ივლისი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი№2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

სპორტი

კალათბურთელები ივლისში დაიწყებენ მომზადებას

კოკოშკოვი გუნდს ელიტური დივიზიონისთვის ამზადებს

აგვისტოს შუა რიცხვებიდან კალათბურთის ქართველი გულშემატკივარი დიდი მატჩების მოლოდინშია. ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში საკვალიფიკაციო მატჩებს გამართავს და ელიტაში აღზევების რეალური შანსიც აქვს. შარშან ოთხივე მატჩი სტუმრად გავმართეთ. ასე რომ, წლეულს მეტოქეებს თბილისში დავუხვდებით და, ოთხივე მატჩის მოგების შემთხვევაში, პლეი-ოფში თამაში გარანტირებული გვაქვს.

საქართველოს ნაკრებისთვის საკვალიფიკაციო მატჩების განრიგი ასეთია.

15 აგვისტო. საქართველო - ლუქსემბურგი. თბილისის სპორტის სასახლე. 19 საათი.

19 აგვისტო. საქართველო - ირლანდია. თბილისის სპორტის სასახლე. 19 საათი.

22 აგვისტო. საქართველო - სლოვაკეთი. თბილისის სპორტის სასახლე. 19 საათი.

26 აგვისტო. საქართველო - შვედეთი. თბილისის სპორტის სასახლე. 19 საათი.

ჯგუფიდან პლეი-ოფში გასვლის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები გამართავს A დივიზიონში გადასასვლელ ორ მატჩს (საპლეიოფო სისტემით: შინ და სტუმრად, 5 და 9 სექტემბერს). მეტოქე გაირკვევა ჯგუფური ეტაპის დამთავრების შემდეგ.

ცხადია, ამ მატჩებისთვის უკეთ მოსამზადებლად გუნდს შეკრება სჭირდება. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის განრიგი.

20 ივლისს საქართველოს ნაკრები თბილისიდან ავსტრიაში გაფრინდება და დაბანაკდება ვენის მახლობლად მდებარე შტაინბურნის საწვრთნელ ბაზაზე, სადაც 29 ივლისამდე გაივლის მოსამზადებელი შეკრების პირველ ეტაპს.

30 ივლისს საქართველოს ნაკრები ვენიდან გადაფრინდება ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში, სადაც 31 ივლისს და 1 აგვისტოს გამართავს ორ ამხანაგურ მატჩს ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებთან.

2 აგვისტოს ჩვენი ნაკრები დაბრუნდება შტაინბურნში და განაგრძობს შეკრებას.

7 და 8 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ქალაქ ბადენში გამართავს ორ ამხანაგურ მატჩს ავსტრიის ეროვნულ ნაკრებთან.

9-დან 12 აგვისტომდე ჩვენი გუნდი ისევ შტაინბურნში დაბანაკდება და 13 აგვისტოს, გამთენიისას, ვენიდან თბილისში დაბრუნდება.

საქართველოს ნაკრები ავსტრიაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება:

უკანა ხაზი: ტაირონ ელისი, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტუღუში, მანუჩარ მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა

ფორვარდები: ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ვლადიმერ ბოისა, თორნიკე შენგელია, ლევან შენგელია, მიხეილ ბერიშვილი

ცენტრები: ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, ნიკა მეტრეველი

მთავარი მწვრთნელი - იგორ კოკოშკოვი

მთავარი მწვრთნელის ასისტენტები - ჯეისონ სტოდტი და დავით უსტიაშვილი

ფიზმომზადების მწვრთნელი - ავთანდილ ბერიძე

ექიმები - თემურ ყიფშიძე და თემურ ხვედელიძე

გენერალური მენეჯერი - მერაბ რატიშვილი

ოთხი მედალი ევროპის ჩემპიონატიდან

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში მიმდინარე მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის (მე-3 ლიგა) პირველ დღეს ქართველმა სპორტსმენებმა 20 დისციპლინაში მიიღეს მონაწილეობა და 1 მეორე და 3 მესამე ადგილი დაიკავეს.

მეორე პოზიცია ბადროს ტყორცნაში სალომე რიგიშვილმა დაიკავა, მესამე საფეხური კი ზურაბ გიგაიას (ბირთვის კვრა), ბოლესლავ სხირტლაძესა (სიგრძეზე ხტომა) და ენდრიკ ზილბერშტეინს (400 მ) ერგოთ. პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში საქართველო 110 ქულით მე-9 ადგილზეა.

გუნდურ ჩათვლაში 13 გუნდს შორის 210.5 ქულით ლიდერობს ისრაელის ნაკრები, 203 ქულით მეორე ადგილზეა დანია, მესამეზე კი - მოლდოვას ნაკრები (202.5 ქულა). ჩემპიონატის მეორე დღეს, 22 ივნისს, შეჯიბრებები 21 დისციპლინაში ჩატარდება.

ანდრო ბედუკაძე (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): პირველი დღის შედეგები დამაკმაყოფილებელია. საქართველოს უკვე 4 პრიზიორი ჰყავს, რაც ჩვენთვის ურიგო მაჩვენებელი არ არის. იმედი გვაქვს, ჩემპიონატის მეორე დღეს პრიზიორების რიცხვი გაიზრდება და საქართველო გუნდურ ჩათვლაში უკეთეს ადგილს დაიკავებს. რამდენიმე სპორტსმენს უფრო კარგად შეეძლო გამოსვლა. იმედია, მეორე დღეს სპორტსმენები უფრო მობილიზებულნი შეხვდებიან.

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (მე-3 ლიგა). 20-21 ივნისი, სარაევო (ბოსნია)

20 ივნისი
კაცები

100 მ.
1.რამილ გულიევი 10.76 (აზერბაიჯანი)
2.ნედიმ კოვიჩი 10.86 (ბოსნია)
3.მარტინ კრაბე 10.89 (დანია)
11.დავით ილარიანი 11.41 (საქართველო)

400 მ.
1.ანდრეას ბუბი 47.06 (დანია)
2.იური შაპსაი 47.77 (ისრაელი)
3.ენდრიკ ზილბერშტეინი 47.92 (საქართველო)

400 მ. თარჯრბენი
1.ბიორგვინ ვიკინგსონი 52.41 (ისლანდია)
2.ჯეკ ფრიში 52.44 (ლუქსემბურგი)
3.ალექსეი კრავჩენკო 53.14 (მოლდოვა)
6.გიორგი ანთელიძე 54.56 (საქართველო)

1500 მ.
1.ჰაელე იბრაჰიმოვი 3:46.77 (აზერბაიჯანი)
2.გეზახ იოზეფი 3:48.06 (ისარელი)
3.როზიჩ დარკო 3:53.02 (ბოსნია)
11.გიგლა ზილბერშტეინი 4:05.70 (საქართველო)

5000 მ.
1.გორან სტოილიკოვიჩი 14:36.48 (მონტენეგრო)
2.ტილაუნ ალიევი 14:38.08 (აზერბაიჯანი)
3.ბრიონ ვობა 14:41.62 (ისრაელი)
10.გიორგი შეკრელიძე 16:32.83 (საქართველო)

4/100 მ. ამანათრბენი
1.აზერბაიჯანი 39.75
7.საქართველო 42.17

სიგრძეზე ხტომა
1.ვარდან პალევანიანი 7.86 (სომხეთი)
2.იოჰანი ჰალევი 7.56 (ისრაელი)
3.ბოლესლავ სხირტლაძე 7.43 (საქართველო)

სიმაღლეზე ხტომა
1.დიმიტრი კროიტერი 2.14 (ისრაელი)
2.იანიკ კლაუსენი 2.08 (დანია)
3.ანტომ ბალანი 2.08 (მოლდოვა)
5.ზურაბ გოგოჭური 2.00 (საქართველო)

ბირთვის კვრა
1.ჰამზა ალიკი 19.97 (ბოსნია)
2.ივან ემილიანოვი 18.31 (მოლდოვა)
3.ზურაბ გიგაია 15.95 (საქართველო)

უროს ტყორცნა
1.ბერგურ ინგი პეტერსონი 70.93 (ისლანდია)
2.ტორბენ ვოლფი 63.95 (დანია)
3.სამირ ვილიჩი 58.89 (ბოსნია)
13.ლერი ჩიტაიშვილი 0.00 (საქართველო)

ქალები

100 მ.
1.რიტა პაგარელოვა 12.15 (ისრაელი)
2.ანა ოლსონი 12.21 (დანია)
3.ანასტასია ჩერტევა 12.33 (მოლდოვა)
12.ლიკა ლოლუა 13.62 (საქართველო)

400 მ.
1.იასნა ჰოროზიკი 55.11 (ბოსნია)
2.ოლესია კუჰარი 55.68 (მოლდოვა)
3.შერლინ მათიასი 56.51 (ლუქსემბურგი)
12.თეა ფაცურია 61.06 (საქართველო)

400 მ. თარჯრბენი
1.სარა პეტერსენი 56.70 (დანია)
2.კიმ როლანდი 59.74 (ლუქსემბურგი)
3.გორან გვიცეკიჩი 61.32 (ბოსნია)
8.თეა ფაცურია 68.17 (საქართველო)

800 მ.
1.ოლესია სმოვიენკო 2:09.79 (მოლდოვა)
2.ლაიეს აბდულაევა 2:11.21 (აზერბაიჯანი)
3.ვლადანა გავრონოვიჩი 2:12.58 (ბოსნია)
7.გაიანე უსტიანი 2:16.54 (საქართველო)

3000 მ.
1. მარე იბრაჰიმოვა 9:27.05 (აზერბაიჯანი)
2.მარია შტიგ მოელერი 9:38.59 (დანია)
3.ვალენტინა დელიონი 10:06.39 (მოლდოვა)
6.გიული დეკანაძე 10:36.66 (საქართველო)

4/100 მ. ამანათრბენი
1. ისრაელი 46.59
2.დანია 47.37
3.ისლანდია 47.46
11.საქართველო 51.25

სამმაგი ხტომა
1.ტატიანა ჩიკანჩი 13.10 (მოლდოვა)
2.ჰაიკანუშ ბეკლარიანი 13.07 (სომხეთი)
3.იოჰანა ინგადოტირი 12.84 (ისლანდია)
11.ქრისტინე შალამბერიძე 10.69 (საქართველო)

ბადროს ტყორცნა
1.ნატალია არტიკი 49.58 (მოლდოვა)
2.სალომე რიგიშვილი 45.06 (საქართველო)
3.სივან ჯეანი 44.83 (ისარელი)

www.sportandyouth.ge

ქუთაისი ქართველ ძალოსნებს უმასპინძლებს

25-დან 28 ივნისამდე ქუთაისში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება ძალოსნობაში. უძლიერეს სპორტსმენთა შორის გია მაჭავარიანი და ალბერტ კუზილოვი იასპარეზებენ.

ჩემპიონატის პარალელურად გაიმართება ლიგის მეორე ტურიც, რომელშიც საუკეთესო მწვრთნელები და სპორტსმენები გამოვლინდებიან სინკლერის ცხრილით. შეჯიბრება, ჩემპიონატის მსგავსად, დიდ ინტერესს იწვევს გულშემატკივართა მხრიდან.

ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი რანგის ტურნირების გამართვას, რადგან სპორტსმენები მაქსიმალურად ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. ამ ჩემპიონატის შედეგად გამოვლინდებიან ნაკრების წევრები 17 წლამდელთა, ჭაბუკთა, 20 წლამდე იუნიორთა და 20 წლის ზემოთ მამაკაცთა ნაკრებებისთვის. ახლა იწყება ოლიმპიადის სალიცენზიო ჩემპიონატისთვის მზადებაც. ოლიმპიადის ქულების დასაგროვებლად სამი მსოფლიო ჩემპიონატია საჭირო. მათ შორის პირველი წელს, ნოემბერში, კორეაში გაიმართება. 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე შვედეთის ქალაქ ლანდშკრონაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება იუნიორთა შორის. მასში სამი ქართველი მძლეოსანი მიიღებს მონაწილეობას , - განაცხადა ძალოსნობის ფედერაციის წარმომადგენელმა რამაზ გურგენიძემ.

"ოლიმპიაკოსის" შენაძენი

საბერძნეთის ოლიმპიაკოსში თემურ ქეცბაიას მისვლის შემდეგ კლუბი საზაფხულო სატრანსფერო პოლიტიკაში ჩაება და ტურინის იუვენტუსიდან შვედი მცველი ოლაფ მელბერგი შეიძინა. 31 წლის მელბერგმა "ოლიმპიაკოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბერძნული მედიის ცნობით, მელბერგის სატრანსფერო ღირებულება 2,5 მილიონი ევროა, თავად ფეხბურთელი კი ოლიმპიაკოსში ხელფასის სახით 1,5 მილიონ ევროს მიიღებს. კონტრაქტში მისთვის სხვა ბონუსებიცაა გათვალისწინებული.

კომპრომისული ვარიანტი

ესპანეთის ბარსელონას მეკარე ვიქტორ ვალდესი, რომელიც 2002 წლიდან იცავს "ბარსელონას" ღირსებას, რამდენიმეთვიან მოლაპარაკებას მართავდა კლუბის მესვეურებთან. ხანგრძლივი და რთული პროცესის შემდეგ კლუბთან ახალი კონტრაქტის თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. ის 2014 წლამდე დაიცავს "ბარსას" ღირსებას. თავდაპირველად კლუბის ხელმძღვანელობა ვალდესის მიერ წაყენებული ყველა პირობის დაკმაყოფილებაზე უარს ამბობდა, რის შედეგადაც გავრცელდა ინფორმაცია მის მიერ ბარსას შესაძლო დატოვების შესახებ. თუმცა, საბოლოოდ მხარეებმა კომპრომისულ ვარიანტს მიაგნეს - მომავალი სეზონიდან 27 წლის მეკარე ორჯერ მეტ ხელფასს აიღებს, ვიდრე აქამდე ჰქონდა.

ჯეკოს ვერ ელევიან

ვოლფსბურგი ედინ ჯეკოს არ შეელევა," - განაცხადა იურგენ მარბახმა. ჩვენ ჯეკოს არ გავყიდით და მისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ, - თქვა მან. "უახლოეს დღეებში არც ჯეკოსთან და არც მისი შეძენის მსურველ მილანთან საუბარი არ იგეგმება , -აღნიშნა მარბახმა. ედინი ახლა არდადეგებზეა. როცა დაბრუნდება, მასთან ყველაფერზე ვისაუბრებთ. დარწმუნებული ვარ, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დავიყოლიებთ, - დასძინა მარბახმა. მისივე ცნობით, ჯეკოსგან განსხვავებით, კლუბსა და მის ბრაზილიელ მთავარმეგოლე გრაფიტეს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. ამავე დროს ვოლფსბურგი რეალის მიერ გასაყიდად გამოცხადებული მოთამაშეებიდან ორით - 25 წლის ჰოლანდიელი კლაას-იან ჰუნტელაარით და 27 წლის არგენტინელი ხავიერ სავიოლათი დაინტერესდა. პირველის საბაზრო ღირებულებაა 10 მილიონი ევრო, სავიოლას გადაბირება კი 8 მილიონად შეიძლება.

კოილმა კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა

საფეხბურთო კლუბ ბარნლის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ოუენ კოილმა კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. გვიხარია, რომ უახლოესი ოთხი წლის მანძილზე ოუენის შენარჩუნება მოვახერხეთ. ახალგაზრდა მწვრთნელს, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, ჩვენი კლუბის განვითარება შეუძლია. გარდა ამისა, ის ნიჭიერ ბრიტანელ ფეხბურთელებსაც აღმოაჩენს. კმაყოფილი ვართ, რომ კოილი გუნდს თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონში გაუძღვება, - განაცხადა ბარნლის აღმასრულებელმა დირექტორმა ბრენდან ფლადმა.

შესაძლო გადასვლა

იტალიური მილანის მიერ კაკას გასხვისების შემდეგ კლუბის ფეხბურთელებმა რიგ-რიგობით დაიწყეს საუბარი სხვადასხვა კლუბებში გადასვლის შესახებ. "მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ არ გამორიცხა კლუბის დატოვების ალბათობა. შესაძლოა მომავალ სეზონში მან ლონდონის ჩელსის ღირსება დაიცვას. ამის შესახებ იტალიელმა ფეხბურთელმა Sky Sports-ს განუცხადა. ინგლისური ფეხბურთი და პრემიერლიგა ძალიან მომწონს, თუმცა, მომავალში რა იქნება, ძნელი სათქმელია. მილანში დიდი დრო გავატარე და კლუბის დატოვება ძალიან გამიძნელდება. ისე, ჩელსიც დიდი გუნდია და ანჩელოტისთან მუშაობის გაგრძელებაც დიდი სიამოვნება იქნებოდა. ჩვენ 8 წელი ვთანამშრომლობდით და კარლო ჩემთვის მამასავითაა. ანჩელოტი დიდებული მწვრთნელია , - განაცხადა გატუზომ. ხასიათის სიმტკიცით გამორჩეულ ნახევარმცველს მილანთან კონტრაქტი ორი წლის შემდეგ ეწურება.

პრემიერლიგა აუქციონზე იყიდება

მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო კომპანია Setanta Sports, რომელსაც ინგლისური პრემიერლიგის ტრანსლირების უფლება ჰქონდა შეძენილი, პრობლემები შეექმნა. ამ კომპანიას ახლა ფინანსური პრობლემები აქვს, რის გამოც ავტომატურად დაკარგა პრემიერლიგის ტრანსლაციების უფლება.

Setanta Sports-ს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა შეეტანა. რაკი ეს არ მოხდა, ერთი კვირის წინ კომპანიამ ინგლისური ფეხბურთის მამებისგან ოფიციალური გაფრთხილება მიიღო და საბოლოოდ დაკარგა ტელეტრანსლაციების უფლება.

ტელეარხს ბოლომდე იმედი ჰქონდა, რომ გამოსავალს იპოვიდა. ამ მიზნით კომპანიის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთ-ერთ ამერიკულ ფირმასთან, რომელიც მზად იყო Setanta-ს აქციათა 51% შეეძინა, მაგრამ გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. ასე რომ, ტელეარხი მომავალ სეზონში ინგლისის პრემიერლიგისა და სერიოზული ფინანსური შემოსავლის გარეშე დარჩა. Setanta Sports-მა ბოლო წლის განმავლობაში 100 მილიონამდე ფუნტი დაკარგა.

ვარაუდობენ, რომ კრიზისში მყოფი ტელეარხი მომავალ სეზონში ინგლისის თასზე, ქვედა დივიზიონებსა და შოტლანდიის პრემიერლიგაზე გადაიტანს აქცენტს.

იმ 46 მატჩის ტელეტრანსლაცია, რომლის უფლებები Setanta Sports-ს ჰქონდა, აუქციონის წესით გაიყიდება.

˝ესპანიოლმა˝ დე ლა პენია შეინარჩუნა

ვეტერანი ესპანელი ფეხბურთელი ივან დე ლა პენია, რომლის შეძენა მოსკოვის სპარტაკს სურდა, მომავალ სეზონსაც ესპანიოლში გაატარებს.

ამ უქმეებზე კლუბმა ფეხბურთელთან მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გამართა, რომლის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ 33 წლის დე ლა პენია ესპანიოლთან კონტრაქტს ორი წლით გააგრძელებს.

33 წლის ესპანელს თავადაც სურდა კლუბში დარჩენა, მაგრამ აქამდე კატალონიელებს მის მიერ მოთხოვნილი ფინანსური პირობების დაკმაყოფილება არ სურდათ, თუმცა, საბოლოოდ ესპანიოლი ფეხბურთელის მოთხოვნების შესრულებას დათანხმდა.

დე ლა პენია ჩვენი კლუბის ერთ-ერთი სიმბოლოა და ის ესპანიოლში გააგრძელებს კარიერას, - განაცხადა კატალონიელთა წარმომადგენელმა ჟერმან დე ლა კრუსმა.

რატომ დატოვა რონალდუმ "მანჩესტერი"

რონალდუმ მანჩესტერიდან წასვლის მიზეზები დაასახელა

თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, არც ცნობილი გახდა, რომ მადრიდის რეალმა 94 მილიონ ევროდ რონალდუ შეიძინა. მანკუნიანელთა ლეგენდამ სერ ბობი ჩარლტონმა ჩინური ვოიაჟისას ახსნა, თუ რატომ დათანხმდა მანჩესტერი ამ ტრანსფერზე. თანხა იმდენად დიდი იყო, რომ უარის თქმა შეუძლებელი აღმოჩნდა. თან ვიცოდით, რომ რონალდუ ბავშვობიდან ოცნებობდა მადრიდულ კლუბში თამაშზე. ამიტომ ხელი არ შევუშალეთ და გავუშვით. მინდა მას წარმატებები ვუსურვო. კრიშტიანუმ მანჩესტერისთვის ბევრი გააკეთა .

ასეთია კლუბის ოფიციალური პოზიცია. რაც შეეხება რონალდუს, ის, კაკასგან განსხვავებით, კარგა ხანს დუმდა. როგორც იცით, რონალდუმდე რეალმა კაკა იყიდა, მან კი ტრანსფერის გაფორმებისთანავე მოიწვია პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა: როსონერი მხოლოდ იმიტომ დავტოვე, რომ კლუბს ასე უნდოდაო.

რონალდუს კი სულ სხვა მიზეზები ამოძრავებდა. როდესაც სამეფო კლუბის შეთავაზება მიიღო, პორტუგალიელი არ მალავდა თავის ამბიციებს. ეს არც ამჯერად გაუკეთებია. ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში რონალდუმ, როგორც იქნა, ახსნა, თუ რატომ დატოვა ოლდ ტრაფორდი .

როდესაც მანჩესტერთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, მივხვდი, რომ ამ გუნდთან ერთად მეტის მიღწევა შეუძლებელი იყო. მანჩესტერთან ერთად ყველაფერი მოვიგე. ამიტომ ცვლილებები მჭირდებოდა. რეალში გადასვლას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვაპირებდი, მაგრამ ვიფიქრე, კიდევ ერთი სეზონი დავრჩები, იქნებ მოტივაცია დამემატოს-მეთქი. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. იმისთვის, რომ ჩემი კარიერა წინ წავიდეს, ცვლილებები აუცილებელი იყო , - აცხადებს რონალდუ.

საინტერესოა, რას იზამს რონალდუ, თუ მომავალ სეზონში რეალთან ერთად ჩემპიონთა ლიგას და ესპანეთის ჩემპიონატს მოიგებს? ისევ კლუბის გამოცვლას მოისურვებს?

პორტუგალიელმა რეალში გადასვლის კიდევ ერთი მიზეზი დაასახელა. არ იფიქროთ, რომ რეალში ფულისთვის გადავედი - ფინანსური პირობები მანჩესტერში არანაკლებ კარგი მქონდა. არასდროს არ დამიმალავს, რომ ამბიციური ვარ და მინდა საუკეთესო ვიყო. ამისთვის შრომაა საჭირო, თუმცა მოტივაციის გარეშე არაფერი გამოვა. რეალში ახალი შემართებით დავიწყებ ვარჯიშს. თან, ხომ იცით, ეს ჩემი ბავშვობის საყვარელი კლუბია , - თქვა რონალდუმ.

აბრამოვიჩი ფულის ხარჯვის გუნებაზე მოვიდა

აბრამოვიჩი ტორესში 50 მილიონ გირვანქას იხდის

იყო დრო, როდესაც ჩელსის მფლობელს, რუს მილიარდერს რომან აბრამოვიჩს სატრანსფერო ბაზარზე ფულის ხარჯვაში ბადალი არ ჰყავდა. მისტერ ჩელსკი ყიდულობდა ყველას, მიუხედავად იმისა, სჭირდებოდა თუ არა ესა თუ ის ფეხბურთელი ჩელსის . გავიხსენოთ ანდრეი შევჩენკო, რომელიც აბრამოვიჩმა ისე იყიდა, რომ გუნდის მაშინდელ მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს არც კი ჰკითხა. რა გამოვიდა აქედან? არაფერი. შევამ ერთი სეზონი ჩელსის სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ამოვარდა სათამაშო ფორმიდან, დაბრუნდა მილანში და იქაც ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. ასეთი მაგალითი აბრამოვიჩის საფეხბურთო ისტორიაში მრავლადაა. თუმცა უკვე წელიწადზე მეტია, რუსი მილიარდერი მოკრძალებულ სატრანსფერო პოლიტიკას ეწევა. ჩელსი ხმაურიანი შენაძენებით არ იქცევს ყურადღებას და აბრამოვიჩმაც უკანა პლანზე გადაიწია.

სეზონის დასრულების შემდეგ ჩელსი საერთოდ არ აქტიურობს. მადრიდის რეალის ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა კი ისე დაიწყო საქმიანობა, თითქოს სატრანსფერო ბაზარზე მარტო ის იყოს.

ცხადია, ასეთი ვითარება აბრამოვიჩისთვის დამამცირებელია - ბოლოს და ბოლოს, ტიტულებით თუ არა, სატრანსფერო ბაზარზე ფულის ხარჯვით მაინც ხომ უნდა დაგვამახსოვროს თავი. და აი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მისტერ აბრამოვიჩი საქმიანობას უბრუნდება - უახლოეს მომავალში ჩელსი სენსაციურ ტრანსფერს შემოგვთავაზებს.

ბრიტანული მედიის მტკიცებით, აბრამოვიჩი ესპანეთის ნაკრებისა და ლივერპულის ფორვარდის ფერნანდო ტორესის შეძენას აპირებს. ელ ნინიოს არაერთხელ უთქვამს, რომ მერსისაიდული კლუბის დატოვებას არ აპირებს, მაგრამ ლივერპულის ამერიკელი მფლობელები მომჭირნე ხალხია. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ჰიკსმა და ჟილეტმა ბენიტესს ფეხბურთელების შესაძენად ამ სატრანსფერო პერიოდში მხოლოდ 21 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოუყვეს, რაც საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მერსისაიდელები მომავალი სეზონისთვის იმდენად გაძლიერდნენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიგონ.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, აბრამოვიჩი მზადაა ტორესში 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. თანხა სოლიდურია, თუმცა ბრიტანულმა მედიამ ისიც თქვა, რომ ეს მხოლოდ საწყისი თანხაა და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აბრამოვიჩმა უფრო მეტიც გადაიხადოს. ამ ვითარებაში საკითხავი ის არის, გაუძლებენ თუ არა ცდუნებას ლივერპულის ამერიკელი მფლობელები.

ვლადიმერ

გელზენკირხენის სტადიონზე იჩხუბეს

გიგა გურასაშვილი

ვიდრე კრივის მსოფლიო ფედერაციისა (IBF) და ორგანიზაციის (WBO) მსოფლიო ჩემპიონს ვლადიმირ კლიჩკოს ამერიკელები აღიარებდნენ, უკრაინელმა მძიმეწონოსანმა თავისი საქმე გააკეთა - გელზენკირხენში, შალკეს საფეხბურთო სტადიონზე, 61 ათასი კაცის თვალწინ უზბეკ რუსლან ჩაგაევს კუდით ქვა ასროლინა. ცხრა რაუნდის განმავლობაში უკრაინელი გიგანტის უპირატესობა მეტად თვალშისაცემი იყო. მერე კი უზბეკის ბანაკმა თეთრი პირსახოცი გადმოფინა - გნებდებით, ფედერაციისა და ორგანიზაციის ქამრებთან არაფერი გვესაქმება, თქვენი იყოსო. ჩხუბი სწორედ ამ ორი სარტყელისთვის მიმდინარეობდა.

ვლადიმირ კლიჩკომ ჩაგაევის ბანაკს თეთრი პირსახოცი გადმოაფენინა

ამერიკელებისთვის ძნელი შესაგუებელია ის, რომ მძიმე წონას ევროპელები, ამ შემთხვევაში უკრაინელი ძმები - კლიჩკოები განაგებენ. მართალია, დრო, როდესაც ამერიკელები მძიმე წონის ფავორიტები იყვნენ, გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მაგრამ რეალობაა ისიც, რომ სიმძიმის ცენტრმა ბებერ კონტინენტზე გადმოინაცვლა. ევროპას კი ყოფილი საბჭოეთის ბანაკის მოჩხუბრები განაგებენ. ამერიკაში ვლადიმირ კლიჩკოს ტიტულები არ ხიბლავთ. არც აღიარებენ მას, როგორც დიდ მოკრივეს. შეუთვალეს კიდეც, აღიარებამდე დიდი ორთაბრძოლები მოიგოს და მერე ვიფიქრებთ მის ღირსებებზეო. მათი გულის მოგების ერთ-ერთ საშუალებად დღემდე უძლეველი რუსლან ჩაგაევის დამარცხებას თვლიდნენ. არადა, არც ჩაგაევია კრივის სამყაროსთვის ისეთი კოლორიტული ფიგურა, როგორებითაც განებივრებული იყო მძიმე წონა.

ტრადიცია არ დარღვეულა. ვლადიმირ კლიჩკომ ჩაგაევს გერმანიაში Veltins-Arena-ზე უხმო საჩხუბრად. პირველ რაუნდს თუ არ ჩავთვლით, რომელიც უფრო დაზვერვით ხასიათს ატარებდა, უკრაინელი თანდათან ზრდიდა თავის უპირატესობას. შიგადაშიგ უზბეკიც გამოიღებდა ხოლმე ხელს, მაგრამ არა ისე, რომ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეეტანა ჩხუბში. ასე გაგრძელდა ცხრა რაუნდი.

მეცხრე რაუნდი წყნარ ტემპში წარიმართა. ბოლო წუთზე კლიჩკომ მთლიანად ხელთ იგდო უპირატესობა, ჩაგაევი ბაგირებთან მიაჯაჭვა, რამდენჯერმე კარგად უთავაზა, მეტოქე მწყობრიდან გამოიყვანა და ამასობაში გონგის ხმაც გაისმა. რაუნდებს შორის შესვენებისას უზბეკის გამსკდარი წარბის ხილვით დამფრთხალმა სეკუნდანტებმა ორთაბრძოლის შეწყვეტა გადაწყვიტეს. როცა მეათე რაუნდის მაუწყებელი სიგნალი გაისმა, რეფერიმ ორთაბრძოლა შეწყვიტა - ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება უკრაინელს დარჩა.

ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე საფეხბურთო არენაზე, ამდენი მაყურებლის წინაშე მომიწევდა გამოსვლა, - აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ვლადიმირ კლიჩკო, - ჩაგაევი მებრძოლია, რომელსაც ზურგს უმაგრებს მდიდარი კარიერა. როცა მოყვარულებში ჩხუბობდა, ლეგენდარული კუბელი ფელიქს სავონი დაამარცხა. პროფესიულ რინგზე დღემდე არ წაუგია. თანაც, დამარცხებული ჰყავს ნიკოლაი ვალუევი. რა თქმა უნდა, დასანანია, როდესაც ორთაბრძოლას აჩერებენ, მაგრამ, ვფიქრობ, რუსლანის სეკუნდანტებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. მოკრივის ჯანმრთელობა უპირველესია .

დღეიდან 33 წლის უკრაინელის ორთაბრძოლათა ნუსხაში 53 გამარჯვებაა, აქედან 47 - ვადამდე მოპოვებული, 3 კი - წაგებული. ხუთ წელიწადზე მეტია, ვლადიმირს ჩხუბი არ წაუგია.

შემოდგომაზე უკრაინელს ფედერაციის ქამრის სავალდებულო დაცვა ელის რუს ალექსანდრ პოვეტკინთან, მაგრამ მანამდე შესაძლოა ბევრი რამ შეიცვალოს.

რაც შეეხება რუსლან ჩაგაევს, მის ორთაბრძოლათა ნუსხაში პირველი წაგება ჩაიწერა. მანამდე 25 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, ერთხელ კი მშვიდობიანად გაეყარა მეტოქეს.

ორმაგი რედ ბული

გიგა გურასაშვილი

სებსატიან ფეტელმა დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი მოიგო, ხოლო მისმა თანაგუნდელმა მარკ უებერმა სილვერსტოუნზე მეორე შედეგი აჩვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ რედ ბულმა დუბლი შეასრულა. ბრაუნელმა რუბენს ბარიკელომ საკუთარ საჯინიბოს მესამე ადგილი მოუტანა, მისმა მეწყვილემ და ჩემპიონატის მოწინავემ ჯენსონ ბატონმა კი შინაურ კედლებში მეექვსე საფეხურზე დაასრულა რბოლა. მსოფლიო ჩემპიონმა, მაკლარენელმა ლუის ჰამილტონმა კი მეთექვსმეტემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. კვირას სილვერსტოუნი დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზს მასპინძლობდა.

სებსატიან ფეტელმა სეზონის მეორე გამარჯვება მოიპოვა

ალბიონური ეტაპი კვალიფიკაციიდანვე უჩვეულო შედეგებით წარიმართა. თუ ფეტელმა, ბარიკელომ და უებერმა მოწინავე სამეულში გაინაღდეს ადგილები, საკუთარ გულშემატკივარს მოლოდინი ვერ გაუმართლა ჩემპიონატის ლიდერმა და მერვე ეტაპის მოგების მთავარმა პრეტენდენტმა ჯენსონ ბატონმა. ბრიტანელმა შაბათის კვალიფიკაციაც და მთავარი რბოლაც მეექვსე შედეგით დაასრულა.

მიმდინარე სეზონის რვიდან ექვსი რბოლის მომგები ბატონი უკმაყოფილო იყო საკვალიფიკაციო შედეგით. არც ძირითადი რბოლით დარჩენილა მოხიბლული. კიდევ კარგი, ჩასათვლელი ქულებით შეეწია ბრიტანულ საჯინიბოს, რომელიც კონსტრუქტორთა დავაში პირველ საფეხურზეა.

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. 60 წრე
ტრასის სიგრძე: 5,141 კმ.
რბოლის დისტანცია: 308,355 კმ.

1. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) 1:22:49.328
2. მარკ უებერი (რედ ბული) +15,1
3. რუბენს ბარიკელო (ბრაუნ GP) +41,1
4. ფელიპე მასა (ფერარი) +45,0
5. ნიკო როსბერგი (უილიამსი) +45,9
6. ჯენსონ ბატონი (ბრაუნ GP) +46,2
7. იარნო ტრული (იტალია) +68,3
8. კიმი რაიკონენი (ფერარი) +69,6

მრბოლთა დავა:

1. ჯენსონ ბატონი (დ. ბრიტანეთი)	64
2. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია)	41
3. სებასტიან ფეტელი (გერმანია)	39
4. მარკ უებერი (ავსტრალია)	35.5
5. იარნო ტრული (იტალია)	21.5
6. ფელიპე მასა (ბრაზილია)	16
7. ნიკო როსბერგი (გერმანია)	15,5
8. ტიმო გლოკი (გერმანია)	13
9. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი)	11
10. კიმი რაიკონენი (ფინეთი)	10
11. ლუის ჰამილტონი (დ. ბრიტან.)	9
12. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია)	6
13. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი)	4
14. სებასტიან ბუემი (შვეიცარია)	3
15. რობერტ კუბიცა (პოლონეთი)	2
16. სებასტიან ბურდე (საფრ.)	2
17. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალ.)	0
18. ედრიან სუტილი (გერმანია)	0
19. ნელსონ პიკე (ბრაზილია)	0
20. კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია)	0

კონსტრუქტორთა ჩათვლა:

1. (ბრაუნ GP)	105
2. რედ ბული	74,5
3. ტოიოტა	34,5
4. ფერარი	26
5. უილიამსი	15
6. მაკლარენ-მერსედესი	13
7. რენო	11
8. BMW-ზაუბერი	8
9. ტორო როსო	5
10. ფორს-ინდია	0

"რეალს" მაიკონიც მოუნდა

მადრიდის რეალის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებულმა ფლორენტინო პერესმა ახლა ინტერის ბრაზილიელი მცველის მაიკონის შეძენა ისურვა.

იტალიური მედიის ინფორმაციით, "სამეფო კლუბის" შეფებსა და "ნერაძურის" სპორტულ დირექტორს მარკო ბრანკას შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. იტალიური პრესის მტკიცებით, "როსონერი" სამხრეთამერიკელის გაშვებას მხოლოდ 20 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ დათანხმდება.

ჰუნტელაარი "შტუტგარტში" გადადის

სეზონის დასრულებისთანავე შტუტგარტმა მიუნხენის ბაიერნში გაყიდა მარიო გომესი. ახლა ამ კლუბს ფორვარდის შემცვლელი ესაჭიროება. უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შტუტგარტის მესვეურებმა თვალი დაადგეს რეალის ჰოლანდიელ ფორვარდს კლას იან ჰუნტელაარს, რომელიც სამეფო კლუბს აღარ სჭირდება. გერმანული გაზეთების ცნობით, "შტუტგარტი" მზადაა, "სამეფო კლუბს" ნიდერლანდიელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაუხადოს.

გასარკვევი ისღა რჩება, დააკმაყოფილებთ თუ არა "სამეფოებს" ზემოთ ნახსენები თანხა. 25 წლის ჰოლანდიელი ფორვარდის შეძენის სურვილი "იუვენტუსის", "ტოტენჰემისა" და "ლიონის" შეფებმაც გამოთქვეს.

პატომ ლონდონისკენ გაიხედა

მართალია, მილანის ბრაზილიელი შემტევი პატო ამბობდა, როსონერის არაფრით არ დავტოვებო, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა ბრაზილიელი გადავა ჩელსიში , სადაც მთავარ მწვრთნელად კარლო ანჩელოტი დაინიშნა.

"ანჩელოტის ფიგურას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თავის დროზე მან ყველაფერი გააკეთა, რათა მე "მილანში" აღმოვჩენილიყავი. მართალია, "როსონერისთან" კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ მე "ჩელსიში" მინდა თამაში. იმედია, იტალიური კლუბი ჩემს სურვილს დააკმაყოფილებს", - განაცხადა პატომ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში.

"შალკემ" ენგელაარი ჰოლანდიაში დააბრუნა

ნიდერლანდიური მედიის ინფორმაციის თანახმად, შალკეს ნახევარმცველმა ორლანდო ენგელაარმა გადაწყვიტა, პსვ-ში გააგრძელოს კარიერა.

ფეხბურთელის გადაბირება ათენის პანათინაიკოსსაც სურდა, თუმცა 28 წლის ნახევარმცელმა სამშობლოში დაბრუნება ისურვა, მისი ტრანსფერის ღირებულებამ კი, სავარაუდოდ, 4 მილიონი ევრო შეადგინა.

მოსალოდნელია, რომ მომავალ კვირაში ენგელაარი ეინდჰოვენელებთან სამ- ან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

"მანჩესტერი" ტევესსაც კარგავს

უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებს.

ჩვენ თანახმა ვიყავით, რომ ტევესის სანაცვლოდ 25,5 მილიონი გირვანქა გადაგვეხადა და ფეხბურთელს ხუთწლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ, რომლის მიხედვით ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდებოდა. თუმცა, არგენტინელის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ კარლოსი მანჩესტერ იუნაიტედში კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს. ტევესს მადლობას ვუხდით ყველაფრისთვის, რაც მან კლუბისთვის გააკეთა და კარიერაში წარმატებას ვუსურვებთ, - ნათქვამია მანჩესტერელთა ოფიციალურ განცხადებაში.

გროსის "იუვენტუსში" იწვევენ

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული ლიონის მარცხენა მცველი ფაბიო გროსო ტურინის იუვენტუსის ინტერესთა სფეროში მოხვდა.

იტალიელ ჟურნალისტთა ცნობით, ტრანსფერის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ის არის, რომ ფრანგები იტალიელის სანაცვლოდ 8,5 მილიონ გირვანქას ითხოვენ, ფეხბურთელს კი ხელფასის სახით წელიწადში 2 მილიონი ფუნტი სურს.

სავარაუდოდ, მომავალი გარიგების დეტალებს მხარეები მომავალ კვირაში ლიონში განიხილავენ.

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ბეტონშემრევი:
BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)